





პიონერი

საბ. ალკ. ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო. შუბნალი

№ 8

1945 წ. სექტემბერი

წელიწადი მუხრანში
ბათუმის მხარე „კომუნისტი“

ПИОНЕРЫ

№ 8

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО
КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

(на грузинском языке)


Издательство „Коммунисти“

გიორგი ქაჭანიძე

გვიბრუნებინა მამები

გვიბრუნებინა მამები,
 ხალხს შეენის ხელგაშლილობა, —
 რა საამაყო ყოფილა
 გამარჯვებულთა შეილობა!
 აგუგუნდა და ამღერდა
 ქვეყანა გმირთა მშობელი!
 კვლავ ღამაზდება ქალაქი,
 კვლავ ღამაზდება სოფელი.
 ცრემლით აივსო მტრის თვალი
 გველის ხერელიდან მზვერავი.
 თვით გაეხვია შავებში
 ჩვენთვის შავების მკერავი;
 თვით ჩაიბარხა საფლავში
 სხვების ცხოვრების მზგრეველი. —
 გადაგვირჩინა ბელადმა
 ჩვენი მთა, ჩვენი ტყე-ველი.
 მწყემსს მგლის მოსპობა ასწავლა,
 ტანკით აბრძოლა მკედელი,
 მტერი შემუსრა, აღიდა
 ურყევი კრემლის კედელი.
 ისევ გაგვიღო მან ფართოდ
 ცხოვრების ბაღის კარები,
 მიმოაბნია გარშემო
 სიბრძნის ლაღი და ქარვები.
 მზე ჩაგვისახლა წიგნებში
 კვლავ დაუმცხრალი, ეღვარე...
 ვინართ, ნისლი-გაცლია
 ცოდნის მშობლიურ მწვერვალებს.





საქართველოს
საბავშვო
საბავშვო
საბავშვო

აბხაზებზე ნ. ბ. სვანიძის მიმართ ხელისაღმშობელი

აბხაზებზე!
თანამემამულენო!

დღეს, 2 სექტემბერს, იაპონიის სახელმწიფო და სამხედრო წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. ზღვებსა და ზემოეთზე სასტიკად დამარცხებულმა და გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალებით ყოველი მხრიდან გარშემორტყმულმა იაპონიამ თავი დამარცხებულად სცნო და იარაღი დაჰყარა.

მსოფლიო ფაშიზმისა და მსოფლიო აგრესიის ორი ყველა შეიქმნა ახლანდელი მსოფლიო ომის წინ: გერმანია—დასავლეთში და იაპონია—აღმოსავლეთში. ისინი იყვნენ, მეორე მსოფლიო ომი რომ გააჩაღეს. ისინი იყვნენ, კაცობრიობა და მისი ცივილიზაცია დაღუპვის პირას რომ მიიყვანეს. მსოფლიო აგრესიის ყველა დასავლეთში ლიკვიდირებულ იქნა ოთხი თვის წინათ, რის შედეგადაც გერმანია იძულებული აღმოჩნდა კაპიტულაცია მოეხდინა. აქედან ოთხი თვის შემდეგ ლიკვიდირებულ იქნა მსოფლიო აგრესიის ყველა აღმოსავლეთში, რის შედეგადაც იაპონია, გერმანიის მთავარი მოკავშირე, აგრეთვე იძულებული აღმოჩნდა. ხელი მოეწერა კაპიტულაციის აქტისათვის.

ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობისათვის საჭირო პირობები უკვე მოპოვებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ იაპონელმა დამპყრობლებმა ზიანი მიაყენეს არა მარტო ჩვენს მოკავშირეებს—ჩინეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს. მათ უღარესად სერიოზული ზიანი მიაყენეს ჩვენს ქვეყანასაც. ამიტომ ჩვენ კიდევ განსაკუთრებული ანგარიში გვაქვს იაპონიის მიმართ.

თავისი აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, იაპონიამ დაიწყო ჯერ კიდევ 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომის დროს. როგორც ცნობილია, 1904 წლის თებერვალში, როცა მოლაპარაკება იაპონიასა და რუსეთს შორის ჯერ კიდევ გრძელდებოდა, იაპონია, რომელმაც ისარგებლა მეფის მთავარობის სისუსტით, მოულოდნელად და ვერაულოდ, ომის გამოუცხადებლად,—დაეხსა თავს ჩვენს ქვეყანას და იერიში მიიტანა რუსეთის ესკადრაზე პორტ-არტურის რაიონში, რათა მწყობრიდან გამოეყვანა რუსეთის რამდენიმე სამხედრო ზომალი და ამით ზელსაყრელი მდგომარეობა შეიქმნა თავის ფლოტისათვის. და მან მართლაც გამოიყვანა მწყობრიდან რუსეთის სამი პირველხარისხოვანი სამხედრო ხომალდი. დამახასიათებელია, რომ აქედან 37 წლის შემდეგ იაპონიამ ზუსტად გაიმეორა ეს ვერაგული ხერხი ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, როცა 1941 წელს თავს დაესხა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სახლწო ბაზას პირლ-ჰარბორში და მწყობრიდან გამოიყვანა ამ სახელმწიფოს რამდენიმე სახაზო გემი. როგორც ცნობილია, იაპონიასთან ომში რუსეთმა მაშინ დამარცხება განიცადა. იაპონიამ კი ისარგებლა მეფის რუსეთის დამარცხებით იმისათვის, რომ ჩამოეგლიჯა რუსეთისაგან სამხრეთი სახალინი, დამკვიდრებულიყო კურილის კუნძულებზე და, ამრიგად, ჩვენი ქვეყნისათვის მაგრად ჩაეკეტა აღმოსავლეთში ყველა გასასვლელი ოკეანისაკენ—მარსადაზე, ასევე ყველა ვასასვლელი საბჭოთა კამჩატკის და საბჭოთა ჩუკოტკის ნავსადგურებისაკენ. ცხადი იყო, რომ იაპონია ამოცანად ისახავდა ჩამოეგლიჯა რუსეთისათვის მთელი მისი შორეული აღმოსავლეთი.

მაგრამ ამით როდი ამოიწურება იაპონიის დამპყრობლური მოქმედება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. 1918 წელს, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, იაპონიამ ისარგებლა მაშინ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების მტრული დამოკიდებულებით საბჭოთა ქვეყნისადმი და, მათზე დაყრდნობით,—კვლავ დაეხსა თავს ჩვენს ქვეყანას, მოახდინა შორეული აღმოსავლეთის ოკუპაცია და ოთხი წლის განმავლობაში სტანჯავდა ჩვენს ხალხს, ძარცვავდა საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთს.



მაგრამ ესეც როდია ყველაფერი. 1938 წელს იაპონია კვლავ დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას ხასანის ტბის რაიონში, ვლადივოსტოკის ახლოს, იმ მიზნით, რომ ვაჭარ-მორტყმოდა ვლადივოსტოკს, ხოლო შემდეგ წელს იაპონიამ გაიმეორა თავისი თავდასხმა უკვე სხვა ადგილას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის რაიონში, ხალხინ-გოლთან იმ მიზნით, რომ შემოჭრილიყო საბჭოთა ტერიტორიაზე, გადაეჭრა ჩვენი ციმაბირის რკინიგზის მაგისტრალი და მოეწყვიტა რუსეთისათვის შორეული აღმოსავლეთი.

მართალია, იაპონიის იერიშები ხასანი სა და ხალხინ-გოლის რაიონში ლიკვიდირებულ იქნა საბჭოთა ჯარების მიერ იაპონელებისათვის დიდად სამარცხვინოდ. ასევე წარმატებით ლიკვიდირებულ იქნა იაპონიის საშხედრო ინტერვენცია 1918-22 წლებში, და იაპონელი ოკუპანტები განდევნილ იქნენ ჩვენი შორეული აღმოსავლეთის რაიონებიდან. მაგრამ 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდში რუსეთის ჯარების დამარცხებამ მძიმე მოგონებანი დასტოვა ხალხის შეგნებაში. ეს დამარცხება შავ ლაქად დააჩნდა ჩვენს ქვეყანას. ჩვენს ხალხს სწამდა და მოელოდა, რომ დადგებოდა დღე, როცა იაპონია დამარცხდებოდა და ლაქა წარხოცილ იქნებოდა. ორმოც წელიწადს ველოდით ჩვენ, ძველი თაობის ადამიანები, ამ დღეს. და აი, ეს დღე დადგა. დღეს იაპონიამ დამარცხებულად სცნო თავი და ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

ეს იმას ნიშნავს, რომ სამხრეთი სახალინი და კუროლის კუნძულები საბჭოთა კავშირის ხელში გადმოვიდნენ და ამიერიდან ისინი ოკეანისაგან საბჭოთა კავშირის მოწყვეტის საშუალება და ჩვენს შორეულ აღმოსავლეთზე იაპონიის თავდასხმის ბაზა კი აღარ იქნებიან, არამედ ოკეანესთან საბჭოთა კავშირის პირდაპირი კავშირის საშუალება და იაპონიის აგრესიისაგან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ბაზა.

ჩვენი საბჭოთა ხალხი ძალებსა და შრომას არ იშურებდა გამარჯვებისათვის. ჩვენ მძიმე წლები გადავიტანეთ. ახლა თვითეულ ჩვენგანს შეუძლია სთქვას: ჩვენ გავიმარჯვეთ. ამიერიდან ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გადარჩენილია გერმანელთა შემოსევის საფრთხეს დასავლეთში და იაპონელთა შემოსევის საფრთხეს აღმოსავლეთში. დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

მოგილოცავთ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, დიდ გამარჯვებას, რომის წარმატებით დამთავრებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დადგომას!

დიდება საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც მოიპოვეს გამარჯვება იაპონიაზე!

დიდება ჩვენს შორეულ აღმოსავლეთის ჯარებსა და წყნარი ოკეანის სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებმაც დაიცვეს ჩვენი სამშობლოს სახელი და ღირსება!

დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს! |

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ბრძოლებში ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და გამარჯვებისათვის!


გამარჯვება და აყვავება ჩვენს სამშობლოს!

409



მ. ი. კუჭუხოვი

(200 წელი დიდი რუსი მხედართმთავრის დაბადებიდან)




ძვირფასო ბავშვებო!

გახსოვთ თუ არა 1941 წლის მიძიმე დღეები, როცა მტერი მოსკოვს უახლოვდებოდა? მაშინ ამხანაგმა სტალინმა მავზოლეუმის ტრიბუნაზე სიტყვა წარმოთქვა, მოუწოდა არმიას და მთელს ხალხს მკერდით დაეცვათ მშობლიური მამული. შეეხო რა ჩვენი სამშობლოს გმირულ წარსულს, ჩვენს დიდ წინაპრებს, საყვარელმა ბელადმა ახსენა მიხეილ კუტუხოვის სახელიც.

ყველაზე უფრო დიდ სამხედრო ჯილდოებში, რომლებითაც აღინიშნებიან ჩვენში გამოჩენილი მხედართმთავრები, არის კუტუხოვის ორდენიც. ჩვენმა ქვეყანამ ეს ორდენი დააწესა თავისი სახელოვანი შვილის—მიხეილ ილარიონის-ძე კუტუხოვის სახსოვრად. უკვე 130 წელზე მეტია, რაც ის გარდაიცვალა, მაგრამ მისი სახელი მუდამ დაუფიწყარი იქნება, და მომავალი თაობანი კიდევ მრავალ წელს მოიგონებენ მას ისეთივე მადლიერებით, როგორთაც ამ მხედართმთავრის ეპყრობიდა ჩვენი ხალხი ერთხანეგარი საუკუნის წინათ და ვეპყრობით ჩვენ ამჟამად.

კუტუხოვის სახელთან დაკავშირებულია მთელი რუსეთი, რომელიც ამ ადამიანმა იხსნა.

1812 წელს რუსეთის მიწა-წყალზე შემოიჭრა საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონის არმია. ეს მრისხანი არმია იყო. ცეცხლითა და მანჯილით გადალახა მან მრავალი ქვეყანა და ყველა ეს ქვეყანა დაიპყრო. მის სათავეში მდგომი ნაპოლეონი ითვლებოდა უდიდეს მხედართმთავრად, რომლის შიშით ძრწოდა მთელი მსოფლიო. და აი ეს არმია შემოესია რუსეთს,



დაიკავა მრავალი ქალაქი, აიღო ვიტებსკი, სმოლენსკი და უკვე უახლოვდებოდა ჩვენს ქვეყნის გულს—მოსკოვსაც.

დადგა მიძიმე, საგანგაშო დრო. და ამ დღეებში ომის ბედი, რუსეთის ბედი ხალხმა კუტუხოვს ჩააბარა, რომელიც მაშინ უკვე 67 წლისა იყო.

კუტუხოვი რუსეთის არმიის სარდალი გახდა მაშინ, როცა არმია განუწყვეტლად უკან იხევდა, ცუდად ეცვა, ცუდად იყო მომარაგებული—არათუ ჯარისკაცებს, არამედ გენერალსაც ზოგჯერ საჭმელი არ გააჩნდა. მტერი მეტად ძლიერი იყო,—ეს კარგად იცოდა კუტუხოვმა. რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მოხუც გენერალს ამ კრიზისულ დღეებში! მას შეჰყურებდა მთელი რუსეთი, მისგან ელოდა ხსნას.

კუტუხოვს უნდა გადაეწყვიტა: შეჩერებულიყო და ბრძოლა გაემართა მტრისათვის, თუ უკანდახევა განეგრძო უფრო ხელსაყრელ მომენტამდე? რაღაც უნდა დასჯდომოდა არ დაენებებია მოსკოვი, თუ დროებით დაეტოვებია? სამშობლოსათვის

ამ მძიმე დღეებში კუტუშოვისადმი სამ-
ზობლოსა და რუსეთის მთელი არმიის
უღრმესმა ნდობამ უზრუნველყო მისი
მოქმედების განუსაზღვრელი თავისუფ-
ლება.

ჩვენ ვიცით, რომ კუტუშოვმა ბრწყინ-
ვალედ გადაწყვიტა ეს საკითხები. კუ-
ტუშოვმა თავისი გეგმა დაუპირისპირა ნა-
პოლეონს, რომელიც მუდამ ცდილობდა გა-
დაამყვეტინ შეტაკება გაემარინა რუსთა
ჯარებთან. კუტუშოვს საჭიროდ მიაჩნდა,
რომ ომის დასაწყისშივე რაც შეიძლება
უფრო მეტად მოექანჯა მტრის ძალები და
მოეზოგა თავისი ძალები.

„ათ ფრანგში ერთ რუსსაც კი არ გაე-
ცვილი“, — ამბობდა კუტუშოვი მოსკოვისა-
კენ უკანდახვევისას და ყოველმხრივ თავს
არიღებდა გადაამყვეტ შეტაკებას, რომელ-
ზეც საფრანგეთის იმპერატორი ოცნებობ-
და.

მაგრამ ნაპოლეონი კუტუშოვს გეგმას
მიუხედავ, უტუქცეულ რუსთა არმიამ მო-
ძალეობა გააძლიერა, არიერგარდს* მოწყვე-
ტის, განადგურებისა და მოსპობის საფრთ-
ხე შეუქმნა. ამის თავიდან ასაცილებლად
კუტუშოვი შეჩერდა და ბორიდინოს სა-
ხელგანთქმული ბრძოლა გამართა, ამ
სისხლისმღვრელ ომში ნაპოლეონის არმიის
უდიდესი ზარალი მოუვიდა, ხოლო ვერა-
ვითარი წარმატება ვერ მოიპოვა. მაგრამ
ცოტა მსხვერპლი როდი იყო რუსთა მხა-
რეზეც. კუტუშოვს მოახსენეს წყობიდან
44 ათასი კაცი გამოვიდაო. მაშინ დადგა
საკითხი: გაემართნა თუ არა კიდევ ერთი
ბრძოლა მოსკოვის გადასარჩენად? და კუ-
ტუშოვმა გადასწყვიტა არ გაემართნა ეს
ბრძოლა: ამას შეეძლო არმიის საბოლოოდ
დალუგება. კუტუშოვმა უყოყმანოდ გასცა
ბრძანება დაეტოვებინათ მოსკოვი. ეს იყო
არა ალაზნადზე გადადგმული სასოწარკვე-
თილი ნაბიჯი, არამედ მკაცრად აწინილ-
დაწონილი ვარაუდი ნაცადი მხედართმთავ-
რისა, რომელიც მტკიცედ და გაბედულად
მოქმედებდა.

ყველა, ვინც მაშინ კუტუშოვი ნახა, ამ-
ბობს ის გარეგნულად მშვიდი და აღუშ-
ვლეთებელი იყო. რა უდიდესი მამაცობა,
რა ნათელი გონება, ბრძოლის კანონთა რა
ღრმა ცოდნა იყო საჭირო, რომ მარტო ერთ
კაცს გადაამყვეტინა ყველა ეს საკითხი,
რომლებზეც დამოკიდებული იყო არა მარ-
ტო რუსეთის, არამედ ნაპოლეონის მიერ

* არიერგარდი — ჯარის ნაწილია, რომელიც უკან-
დახვევის დროს მთავარ ძალებს უკან მიჰყვება და
იცავს.

დაპყრობილი სხვა ქვეყნების ბელიც!
კუტუშოვმა დაამარცხა ნაპოლეონი და
განდევნა რუსეთის მიწა-წყლიდან. ეს
მისი მხედრული დიდების გვირგვინი. მაგ-
რამ მან წინათაც არა ერთხელ ისახელა თა-
ვი, როგორც დიდმა მხედართუფროსმა.
უფრო ჭაბუკურ წლებში ის იბრძოდა სუ-
ვიროვის მეთაურობით. სუვიროვი მეტად
მაღალ შეფასებას აძლევდა კუტუშოვს. ის
ამბობდა კუტუშოვზე: „წმინდა, ემშაჟი!
ქვიანია, ქვიანია! მას ვერაინ მოატ-
ყუებს“. თურქთა ციხე-იზმაილის აღების
შესახებ მოხსენებაში დიდი გენერალისი-
მუსი სწერდა: „გენერალი კუტუშოვი ჩემს
მარცხენა ფრთაზე იბრძოდა, მაგრამ ჩემი
მარჯვენა ხელი იყო“.

კუტუშოვი განირჩეოდა არა მარტო
უდიდესი მხედრული ნიჭით, — ის გმირულად
მამაცი იყო, ჯარებს გულადობის მაგა-
ლის აძლევდა. თურქეთთან ომების
დროს ის ორჯერ მძიმედ დაიჭრა და ცა-
ლი თვალიც დაჰკარგა.

კუტუშოვი სუვიროვივით მომთხვენელი
იყო, ამასთან სამართლიან მეთაურად ითვ-
ლებოდა. ის საუცხოოდ იცნობდა ჯარის-
კაცის სულისკვეთებას და უდიდესი ადა-
მიანობით ეპყრობოდა ჯარისკაცებს, ზრუ-
ნავდა მათი საქორებისათვის, ზმირად
იზიარებდა მათი ლაშქრული ცხოვრების
სიმწიფებს. ჯარისკაცები უდიდესი ერთ-
გულუბნითა და სიყვარულით უდიდებენ და
მზად იყვნენ ცეცხლსა და წყალში გაპო-
ლოდნენ მას.

კუტუშოვი დიდად განათლებული კაცი
იყო. მან თავი გამოიჩინა, როგორც მნიშვნე-
ლოვანმა სახელმწიფო მოღვაწემ და
ცნობილმა დიპლომატმა, რომელიც ოსტა-
ტურად იცავდა სამშობლოს ინტერესებს
სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან
მოლაპარაკებისას.

ჩვენმა ძლიერმა წითელმა არმიამ, რო-
მელმაც დიდება და სახელი მოიხვეჭა მთე-
ლი დედამიწის ზურგზე, გენიალური ბელა-
დის გენერალისიმუსის სტალინის მეთაუ-
რობით სასტიკად დაამარცხა ორი ყველაზე
უფრო მტაცებლური დამპყრობელი ქვეყ-
ნა — ფაშისტური გერმანია და იაპონია. და
დღეს, როცა ჩვენ ვზეიმობთ ამ უდიდეს
ომში გამარჯვებას, განსაკუთრებულის
სიყვარულით ვიგონებთ კუტუშოვს, რუსე-
თის დიდ შვილს, რომელიც ცხოვრობდა და
შრომობდა სამშობლოს ხსნის იმავე წმიდა-
თაწმიდა საქმისათვის, მისი დამოუკიდებ-
ლობისა და დიდებისათვის.



სკოლის ზარის წაკითხვა

ნაიღი გომგაჟინი მასწავლებელს



ო, პირველ სექტემბრის
 ზარმა დაიწყო!
 — რა სუფთა დაფებია!
 — რა მერხები პრიალა!


მოცქრიალდნენ ბავშვები,
 როგორც მინდვრის პეპლები.
 — ესეც თქვენი ტოლები!
 — თქვენი მასწავლებლები!

ომი უკვე გათავდა
 ჩვენი გამარჯვებითა,
 იხარეთ და ისწავლეთ
 უღარდელად, შვებითა.

თქვენი თვალით იხილეთ
 მოძალადის დამხობა.
 ეხლა — შრომა ბეჯითი
 და ტოლებში თანხმობა.

უნდა დაიმახსოვროთ
 ყოველ ზარის წაკითხვზე:
 „მოწაფეთა გმირობა
 ეს სწავლაა ფრიადზე“.

ქობულეთი, სექტემბერი



საყვარელ პედაგოგ ნინო კვლენჯერიძეს
 გუშინ, ბრძოლის წინ—ქალაქის კართან
 მე გადავშალე წითელი რუკა...
 გაიშრიალა ოცნების ფარდამ
 და შენი სახე დამიდგა შუქად.

წუთით დავტოვე ფრონტის გრიალი —
 ჩაუწყრიალა ზარმა დერეფანს
 და შენ შეხველი კლასში შრიალით
 ვით ღიმილი და ბედნიერება.

მე ვიგვიანებ... ო, შენც და ზარმაც
 იცით თქვენ — თქვენი ღვაწლი ქებული.
 შენ არ მიწოდებ უხეშს და ზარმაცს
 და მაინც ვდგავარ აწითლებული.

ვდგავარ და ვისმენ რიდით, თავდახრით,
 — ყრმომ! ისწავლე სამშობლოსათვის!..
 ჩემო ოსტატო! გულის ცახცახით
 შენ დიდ სინათლის შუქით მმოსავდი.

და გუშინ როცა ქალაქის კართან
 მე გადავშალე წითელი რუკა,
 როცა სამოცი სიცოცხლის გარდა
 სამშობლოს დროშაც ხელთ მეპყრა შუქად,

მე მივხვდი, სადაც იწვა დაბლობი,
 მე მივხვდი—სადაც იღვა ზეგანი,
 სად ტყე იყო და სადაც ტაფობი —
 ჩვენთა ქვემეხთა დანამეხარი...

ბნელში წავეუძებ ოცულს ნელა,
 შენგან ბოძებულ ცოდნის ლამპარით.
 და განთიადზე მოულოდნელად
 მტერს სატევარი გულში დავკარით.

და როს პირველმა ქალაქზე დილით
 ავანთე დროშა, ცისკრის ფერებად.
 შენ მიღიმოდი მის შუქში ტბილად —
 ჩემი ბავშვობის ბედნიერება.

1944 წ. მოქმედი არმია.



თეთრი სახლი

(საბავშვო პოემა)

(დასასრული)

4. თეთრი დილი

ეს მტირალი ტირიფია,
 რომ შრიალებს ჩურჩულთ,
 აქ ბილიკი ირიბია
 და ცა გადალურჯული
 მდინარეში იმზირება
 ღრუბელთ თეთრი გედებით
 და ტალღებში იძირება
 ჭავლის ოქრომკედლები.
 მისრიალებს წყნარად წყალში
 ღრუბელთ თეთრი ბულული,
 ნაპირზე კი მიდის ბავშვი,
 კუშტი, გულდახურული.
 „—აყვანილი რომ მიმყავდა,
 ამ ტირიფთან ჩამოვსვი,
 აქ. წაიქცა, ავაყენე,
 დაფუბერტყე სამოსი,
 აქ უცრად აქვითინდა
 (მანამ მაინც მხნედ იყო)
 ცერის ტოლა ცრემლებს ყრიდა,
 ეძახოდა დედიკოს.
 — დედა მინდა! დედა მინდა!
 სლუკუნებდა ქოშინით.
 გაღვიყვანე ჩრდილში გზიდან,
 სიმწრით დავაშოშმინე.
 შემდეგ უცებ მოინატრა
 ჭრელი ფისოს ალერსი.
 რომ შევპირდი, მოგიყვან-თქო,
 დამითხოვა ხალისით.
 აგერ, იმ თხრილში ჩავსვი,
 გავუკეთე საფარი...
 ნმას არ იღებს... ალბათ სძინავს,
 ალბათ ეხლაც აქ არი“.

ბუჩქის ტოტი გადაფერდა
 ფრთხილად და მოკრძალებით,
 უცებ მუხლი მოეკვეთა,
 დაუბნელდა თვალები:
 არსად მოსჩანს პაწაწინა,
 სად წასულა, სად არა?
 ბუჩქის ძირას ობლად ბრწყინავს
 თეთრი დილი პატარა.
 მზე რად ათბობს ზეცის ღმომს,
 მიდამოს რად ალაღებს?...
 თეთრი დილი, თეთრი დილი,
 მოთელილი ბალახი!

5. სამაგიერო

მზე დასავლისკენ ვიღოდა,
 წითლად აენთო ხეობა,
 სოფლის ბოლოში, წყლისპირად
 ფაშისტებს ჰქონდათ ღრეობა.



ერთი იკვებნის:—ბიჭებო,
 მე მამაცი ვარ ყველაზე:

ექვსი ბებერი წვახარჩე,
რომ დაძვრებოდნენ მელასებრ,
ის ქალიც მე ჩამოაკიდე
ვაშლის ხის საქანელაზე!
სთქვა და დაიწყო ხარხარე,
სხვებსაც სიცილი აოსებთ.
იკვებენ, მოიგონებენ
ცრემლის და სისხლის აუზებს,
ველურებს გვანან, ნაღმად
დამსხდარნი სასაკლოზე!
მზე ჩაყვანა ღრუბლებში
ათასგვარ ფერისცვალებით.

აქ ერთმა წამოიძახა:
— ჰეი, თხრილში ვინ იმალები?
ყველანი წამოიშალენ,
იარაღს სწვდნენ გამალებით,
თხრილისკენ იცქირებთან
დამფრთხალ ნადირთა თვალებით.
თხრილიდან გოგო მოძვრება,
ებღაუჭება ბალახებს...
გულზე მოეშვით ფაშისტებს,
ცრულ შემფოთება ალაღებთ.
გოგონას შემოეხვიენენ,
ვით შვლის ნუკრს ხროვა მგლებისა,
ზოგი ხაწნაგში ეწვევა,
ზოგი ხარხარებს ხებისად.
ერთმა, მწითურმა, გოგონას
ბეჭებში მუშტი ახალა:
— შენ, ჰეი, საიდან გახდი,
ასეთი ყვავის ბახალა?
თავი ასწია სვეტლანამ,
ზიზღი ჩაუდგა თვალებში
უცქერს საზარელ სახეებს
ღვინით და სისხლით გაღუშვილთ.
აენთო გიშრის თვალები,
გაღვივებული დადარად:



— სთქვით, რა უყავით ჩემს გრიცკოს,
სად წაიყვანეთ პატარა?
არც და იკმარეთ, არც დედა,
ძმაც მომიკალით, მხეცებო?
მისი უმანკო სხეული


რომელ ხის ტოტზე ვეძებო?...
არ უსმენენ და ხარხარით
ეტახებიან გოგონას,
ერთი ნაწნავში ეწვევა,
მეორე აყრის ქოქოლას,
იგივე მწითური ყელსახვევს
წასწვდება მსუქან თითებით:
— „ჩქარა, მოიხსენ ეგ მხეცარი,
საზიზღარი და წითელი!“
განზე გადახტა სვეტლანა,
უცქერს საზარელ დამურებს,
ფერქორთალ სახეზე ედება
საყელოსფერი ალმური.
— ამისი უარესს რას მიზამთ, —
შხამის ფაღალა მიცლია!..
ამ ყელსანვევში, ბრიყვეობ,
მამების წმიდა სისხლია,
მამულისათვის დაღვრილი,
მრავალჯერ ნასახლევი...
თქვენ მოგვებით ასეთ ყელსანვევს
რომ სჯიჯავნოთ ბინძურ ხელებით?..
კვლავ ბრახობს იგივე მწითური:
— ჰეი, შე იგველის წიწილი!
ბიჭებო, რა საჭიროა
ბევრი იწილო-ბიწილო, —
კედელთან! უცებ დაეუხშობ
ემავ ენაგრძელ ყიასა, —
ჯანი გაგარდეს!—გავწირავ
მისთვის კიდევ ერთ ტყვიასაც!
ჩამოაგლიჯეს საყელი,
მითვე ხელები გაუტარეს.
გარინდულია სვეტლანა!
თუნდაც სიოცხლე ჩაუტარეს!
მწითურმა ბიჭი მოზომა,
და თოფი შეატარალა.
სვეტლანას ერთი ფეჭრი აქვს,
გული რომ გაუტიალა:
სად არის გრიცკო პატარა,
ცოცხალია თუ მკვდარია?
იმისი სისხლი უმანკო
რომელმა მხეცმა დალია?..
გული-ჩამქრალი კერაა,
ეს ფეჭრი—ნაღვერდალია.
ერთმა პირხმელმა ფაშისტმა
მეორეს უთხრა რაღაცა,
იმან სხვას ჩაუჩურჩულა,
ამან შესძახა:—დაგვაცა!
კუშტად შეჩერდა მწითურიც,
მისმა სიბრაზემ იმატა.
იგივე პირხმელი ფაშისტი
გოგონას ეტყვის ტკბილადა:
— გოგო, რად გინდა ჩაძაღლდე
და მიწას დაესარჩულო?
სჯობს დავვიჩოქო, შეგვთხოვო
სიოცხლე შეგინარჩუნოთ.
ელიან პასუხს, და ისმის
ბავშვის ხმა გაუზზარავი:

— საბჭოთა ადამიანი არ დაუხოქებს არავის! აყვირდა ისევ მწითური: „თავს რად იწუხებთ კითხვებით? ცხელ ტყევით პირში ჩაეჩაროთ ეგ თავხედური სიტყვები!“ ხელგაყრული დგას სვეტლანა მწითურ ყაჩაღის წინაშე. განგებ აყოვნებს ფაშისტი, ღიმილით იღებს მიზანში. ოა მძიმედ მიდის წუთები! მოთმენა გასცდა ნაპირებს... ლულა შავია, და ბავშვის შავს თვალებს უპირდაპირებს! ზეცას ახელდა გოგონამ, ლურჯად რომ ჩაიშაქრება, ტირიფს გახედა, ტოტები რომ გაუშლია აფრებად. კიდევ წუთი და—ამ ქვეყნად მისი სახელიც გაქრება. უცებ გაისმა გრუზუნი... დაბინდულ ცაზე იელვა-შეკრთა, ხელები დაუშვა ყაჩაღმა გადამთიელმა, სხვებიც შეჩქვიფდნენ, შეძრწუნდნენ, ფერი დაეღოთ ნაცარის: თეთრ სახლს დაეცა ყუმბარა და აბობოქრდა ხანძარი! სერიდან ზათქი ცვიოდა ცეცხლის მთას გავდა მოხლეჩილს, გარბოდნენ გადამთიელები, გარბოდნენ თავქუდმოგლეჯით, თავს დასჭყიოდა ხალღური: — ჰეი, სად მიხვალთ, ფრიცებო? რაკი აქ ლხინი დაგიდევთ, მომიცათ, ერთად ვიცეკვოთ! ავტომატს ატრიალებდა, ძმები მისდევდნენ მხარდამხარ, წვებოდა მძარცველთ ლაშქარი გზების გამოღმა—გადღმა! დამფრთხალ ტურებდა გაღიქცა საზარი ხროვა მგლებისა, მირბოდნენ, უკან მისდევდათ ხმა წმიდა შურისგებისა, გააფრთხეული ქალები სოფლის ქუჩებში მოზავდნენ, მტერს სციმდნენ. ანადგურებდნენ, სისხლისთვის სისხლით უზღავდნენ, არც ერთი მხეცი არ შერჩა თბილად მოძებნილ საბურღებს, მიწა, რომელიც უნდაოდათ, სამარედ დაისაყუთრეს.

6. ისევ ერთად


მიყუჩდა, ჩაღდა ქარცეცხლი, შუქი გამოჩნდა მთვარისა. სოფელი გავდა გარეცხილს

სისხლსა და სიმწუხარისგან. თითქოს ეს მთვარეც სოფელში ჩვენს ჯარებს შემოეტანათ... ნეტავი ამ დროს სად არის ჩვენი პატარა სვეტლანა? თითრად რა მოსჩანს ბალახში, ჩვენებაა, თუ ცხალია? იგი არც თოვლის ქულაა, არც მოცელილი ვარდია,



ეს სვეტლანაა—არ იძვრის, ფერმკრთალი, ფეხებშიშველი. ო, ნუთუ მოგკლეს, პატარავ, და ძმებმა ველარ გიშველეს? მთვარემ ჭადრები ათეთრა, ცაზე გულმშვეილად მოგორავს, შესდგა გუშმაგი ჭადრებთან და თვალი ჰკიდა გოგონას. დახედა, წამსვე შეჭყვირა: — ბიჭებო, ჩვენი სტუმარი! ძახილზე სხვებიც მოიჭრნენ, წრე გაუკეთეს მდღმარედ. უცქერენ—სისხლი არა სჩანს, არც თუ ნაცემი ატყვია... ექიმს უხმეს და გაისინჯა ვერსად ვერ ხელავს ნატყვიარს. ფრთხილად ასწიეს, მიმართეს დანვარულ სკოლის აგურებს, ქვეშ დაუფინეს მახარა, მდინარის წყალი აპკურეს. კრძალვით დასცქერენ მის სახეს, იფარდალელუს, ნაწამებს, გონს მოდის... წყნარად შვირზა, თითოლვა დაურბენს წამწამებს, თვალები გამოახილა, წამოიკვნესა წვალეებით. ხელავს მეგობრულ სახეებს ადამიანურ თვალეებით! — საღა ვარ?... ან თქვენ ვინა ხართ? ეგებ თვალეები ამება?

ენისის პასუხად:
— ძმებთან ხარ
გათავდა შენი წამება!
გაეღიმება, და წამსვე
გულს ელდა დაკრავს მზარავი.
„გრიცკო?... ო, ნუთუ, ძიებო,
არ დაგინახავთ არავის?
ქერაა, ცისფერთვალება
ჩემი საწყალი ძამიკო...
ავთხოვთ, მკვლარი მიიცი ვიპოვოთ,
ამბავი მიიცი გამოვით?...
ეგებ დედასთან დაჰკიდეს?...
ან ჰყავდათ შტაბის ბინაში?!“
იღვინე მებრძოლნი თავდასრით
ამ მწუნხარების წინაშე.
ამ დროს გამოჩნდა უფროსი.
ყველა დადუმდა, მიუხედა.
უფროსი წრეში შემოდის
და მოჰყავს ქერა ბიჭუნა.
— აჰა, ნათელა, მიიღე
შენი პატარა ძამია...
ვერ უპოვია იბლაღზე
ის ვერცერთ კაციჰამიას!
სწრაფად წამოღდა სვეტლანა,
ორივე ხელი განშალა,
ძამიკო მკერდზე მიიკრა,



აინთო, როგორც მაშხალა.
— სად იყავ ჩემო სინათლევს!
შენი დაკარგვა რა იყო?
— იცი, მე ბევრი ვიტირე,
შენ რომ წახველი, დაიყო!
გეძებეთ შენ და ფისუნა...
მერე დაღლაშაც მიწია...
ვერც შენ გიპოვე, ვერც ფისო,
ლოიც დაკარგე ზიხია!
— მერე სად წახველ, ძვირფასო?

„— თავქვე ჩაყვევი მდინარეს...
ლამაზ კეზებზე დავწევი...
ძიამ მიპოვა მძინარე!“
გაეცინებათ მეომრებს,
უფროსსაც გაეცინება,
სვეტლანას ტანჯულ სახესაც
ლიძილი დაეფინება.
გაეხსნა გულის კარები,
სული აივსო, ადიდა
და ბავშვი ნათავზარევი
შეების ცრემლებით ატირდა.

მკილოზი

უკრაინის იმ სოფელში
ახლა ისევ დარი დარობს.
თვალს ახელენ ყვაილები
პატარების სანეტაროდ.

დატრიალდა გაზაფხული,
ტანჯულ მიწას სხივებს ახლის,
არაა რჩება უზრუნველი,
როგორც გამარჯვ დიასახლისს:
იქ ყლორტები ამოყარა,
აქ ბოსტნები ააშუქანა,
მორცხვ ენძელებს დაუთარა
და უმღერა სიოს ნანა.

შემდეგ ხნულებს ჩაეხვია,
ესაუბრა ჩურჩულთ,
მოიწვია ღრუბელთ ნამი,
ზეცა გადალურჯული,
რომ ჯეჯილის მწვანე თქრომ
ჩვენს საღებუნად იბობოქროს.

კვლავ ჩამწკრივდა ქუჩის პირად
ახალთ-ახალ სახლთა წყება,
თეთრი კირით შემოსილნი
დგანან ლამაზ პატარძლებად.
იმშუშნება, მზარბეუს იშლის
ველ-მინდორი იარული...
თეთრი სახლის ნასახლარზე
კვლავ სახლი დგას მხიარული.
სიხარულის ალით ანთებს
ნაამაგდარ დედის კერას.
აქ სვეტლანა ფაციფუცობს. —
სწავლობს, შრომობს, რეცხავს, კერავს,
გრიცკოს უვლის და რძეს აჭმევს
ციცუნია ხატვევრას.

დაიხრება, ჩასჩურჩულებს:
— გესმით?... თუ გრძნობს თქვენი გული,
რომ კვლავ დალდა ჩვენს ქუჩაზე
ზეიმი და გაზაფხული?..


მაგრამ გიშრის თვალთ სიღრმეში
მიმალულა ჩემი დარდი...

დის და დედის ძვირფას საფლავს
ყოველ დილით აპკობს ვარდით.

მზის სხივების ირიბები
წყალს ქარგავენ ოქრომკედლით.
შრიალებენ ტირიფები,
თითქოს სიტყვა ისმის დედის:
— ფრთა გაშალე, გაიხარე,

ძმას ასწავლე პაწაწინას:
თქვენი მზე და თქვენი მთვარე
ღიად კრემლის თალზე ბრწყინავს.

ნუ იღარდებს თქვენი გული
ჩვენს სიკვდილს და კუბოს ფიცარს,
მხოლოდ მუდამ უერთგულეთ
ჩვენის სისხლით მორწყულ მიწას.



სამართებელი

(ლეონარდო და-ვინჩის იგავ-არაკებიდან)

ერთხელ სამართებელი ამოვიდა ტარი-
დან, რომელიც ამავე დროს ბუდეც იყო
მისთვის — და დაიბახა, რომ მის ტანს
მზეზე ლაპლაბი გააქვს. სამართებელს უსა-
ზღვრო სიამაყით აევსო გული.

— ნუთუ მე, ასეთ შვენიერსა და ლა-
მასს, შემფერის ბევრ დავბრუნდე სადალა-
ქოში და ვბარსო წვერი ვიღაც მდაბიო,
ტლანქ ხალხს? განა ასეთი შრომა მეკად-
რება?. რასაკვირველია, არა. ამიტომ აქ სა-
დმე დავიმალები მყუდრო ადგილას და
მთელ სიცოცხლეს მოსვენებითა და სიამო-
ვნებით გავატარებ, — გააფიქრა მან და
თავის განზრახვა სისრულეში მოიყვანა.

გავიდა რამდენიმე თვე, სამართებელი
ისევ გამოვიდა პაერზე მზეში და გამოი-
ხედა თავის ბუდიდან.

— ღმერთო ჩემო, რას დავმსგავსებდივარ
— შესძახა მან, — ჩემი ტანი ნამდვილ
დაქანებულ ხერხს დამსგავსებია, სრული-
ად აღარ ბრწყინავს, დაუშნობელა! — და
ატირდა სამართებელი:

— ოჰ, როგორ შევეცი, რომ არ დავრ-
ჩი დალაქთან და არ ვავარჯიშე ჩემი
წმინდა, მახვილი პირი ადამიანთა სასარგებ-
ლოდ, სადალა ახლა ჩემი ბრწყინვალე ტა-
ნი? როგორ შეჰქამა ის საზიზღარმა უანგმა
და დავიღუბე. ასე მოუვა ყველას, ვინც
უსაქმურად მონინდომებს ცხოვრებას და იმა-
საც ჩემსაგვით უგუნურობის უანგი დაასა-
ხინრებს, — ფიქრობდა ის გულის ტკივი-
ლით და სინანულით, მაგრამ, შეცდომის
გასწორება გვიანდა იყო.

გადმოქართულებული ნინო ნაკაშიძის შიერ



მრისხანე უამი იღვა, მონღოთა ურ-
ღოები საქართველოსკენ მიემართებოდნენ.
მტრის მოლოდინში მეფე ჩქარობდა. ნიკოპ-
სისა და დარუბანდს შორის საერისთავოებს
სრულ საიდუმლოდ ემცინოთ ყოველივე.
ქულზე ცაცი გამოიყვანეს ერისთავებმა. ახ-
ლად შეაკეთეს ანანურსა, დმანისსა და ღარ-
თისკარს ციხე-სიმაგრენი.

კლდეკარს საგანგებო ციხე-სიმაგრე შენ-
დებოდა, მაგრამ თიბათვის ბოლოს იგი სა-
შინელმა მიწისძვრამ დაანგრა. საოცარი
იყო: კედელი მესამედ სწორედ იქ დაშლი-
ლიყო, სადაც პირველ ორჯერ დაზიანდა.
ხმები დადიოდა: განგებობს თვალი ტრია-
ლებს ამ საქმეშიო. იმავე დღეს ვილაცამ ხმა
დაარხია ხალხში კლდეკარის მიწა დაწყვე-
ლილია, ციხე არ აშენდებო.

სატახტო ქალაქს დიდი ამბები ხდებოდა.
სასახლეში ყოველ დღე მოდიოდნენ მაცნე-
ნი და ფრიალ საიდუმლო ამბები მოჰქონ-
დათ. მეფე ჯარს კრებდა. მტერი კარს
მოსდგომოდა ქვეყანას.

მეორე დღეს კლდეკარს უთენია მივიდა
მხედარი. მეფეს დასამთავრებლად მზაცი-
ბე-სიმაგრის ხერხევა შეეტყო. ზუროთმოძ-
ღვარს სასწრაფოდ სასახლეში იხმობდა
მბრძანებელი.

უხუცესთა საბჭო ძლიერ გააკვირვა ხუ-
როთმოძღვრის ნაამბობმა, სამჯერ ერთი და
იგივე კედლის დაზიანება სასწაულებრივ
საქმედ მიიჩნიეს, რომელიდაც ერისთავი
ვერდიო მჯდომს ჩურჩულით უამბობდა
უცნაურ სიხმარს და უმტკიცებდა, ციხე
არასგზით არ აშენდებო.

კათალიკოსი საჩუმებობის შებღალვას
აბრალებდა ყოველივეს, თუმცა ვერ გაებე-
და ეს მეფისათვის ეთქვა. უკანასკნელად
ურწმუნონი გამრავლდნენ ქვეყანაზეო. მე-
ფე კი ზომებს არ ღიბს. განგება განარისხე-
ბულიაო. ეჭვი იმდენად დიდი იყო, რომ
ყველა შიშს აეტანა. ბოლოს ისევ მეფე
დაარღვია დუმლიო.

— დიდებულნო, ზუროთმოძღვარმა ყო-
ველივე მოგახსენათ. უამი არ იცდის. მტერი
კარს მოსდგომია ჩვენს ქვეყანას. რაც უნ-
და დაგვიჯდეს, ციხე სასწრაფოდ უნდა
აშენდეს!

კვლავ დუმლი ჩამოვარდა. ბოლოს უკა-
ნა რიგებში წამოღდა ქალაროსანი მოხუცი.

— მბრძანებელო, გავბედავ და შეგესიტ-
ყები, — დაიწყო მსაჯულთუხუცესმა, კლდე-
კარში ციხე არ აშენდება. როგორც სჩანს,
განგება განარისხებულია, ამოდ დავშვრე-
ბით. ციხის კედელს სამგზის დაატყვარა რის-
ხვა უფლისა. ჯერ ერთი ზევაი. მეორედ
მრისხანება ცისა, მეხმა დაარღვია იგი. ხო-
ლო მესამედ კვლავ ჯოჯოხეთურმა მიწი-
ძვრამ არ დაინდო კედლები მისი...

ყველამ პარაროსანს მიაპყრო თვალი.
გულზე მოეშვათ. მოხუცმა გამოხატა ის,
რასაც უხუცესთა საბჭოს თვითული წევრი
ფიქრობდა. კვლავ ხანგრძლივი დუმლი გა-
მეფდა. ბოლოს არავის ერისთავმა ითხოვა
ნება სიტყვისა.

— დიდო მეფეო, — რიდიო დაიწყო მან, —
გამიგონია ქალაქში ცხოვრობს ვილაც უთ-
ვისტომი არაბი აბულრაჰიმ, მკვიდრი ხა-
ლიფატის სატახტო ქალაქისა. ხალიფა მან-
სურის რისხვას გამოქცევია ბაღდადიდან.

ქვიშანი უღაბნო გამოვლო და ბინა ჩვენს ქვეყანაში დაიდლო. ისიც გამიგონია, მბრძანებლო, თურმე ყველას აკვირებს ეს უცნაური არაბი აბდულრაჰიმ, გამოჩენილი მისანი, მცოდნე სჯულის წიგნისა. გრძნეული-ადამიანის სახეზე იმის მოძავალს ამოიცნობსო. ერთხელ, თურმე, ლაშქრობიდან მომავალ გამარჯვებულ მეფეს შეეფეთა, როდესაც იგი აწვარდაცვალებულ მამათქვენს ჩააკვირდა თურმე ისე გაოცდა იმისი სასტიკი და ელვარე თვალბით, რომ რაღაც მოულოდნელი ხიფათი უწინასწარმეტყველა და თან გაიკვირვა, აქამდე როგორ გადაურჩა სიკვდილსო. ამბობენ არაბი აბდულრაჰიმ ახლაც ჩვენს სატახტო ქალაქში არის და თავის მისნობით ხალხს აკვირვებსო, თუ მბრძანებელი ინებებს, კარგი იქნება ვკითხავდეთ რჩევას. ის, როგორც სჩანს გულთამხილველი მისანია და უტყუარ იწინასწარმეტყველებს, ციხე აშენდება თუ არა!


ყველა დაინტერესდა. კათალიკოსი ჯავრობდა მხოლოდ. არავის ერისთავი ურწმუნოდ მიაჩნდა ყოველთვის. ეხლაც სჯულის საწინააღმდეგო ურჩია მეფეს. სჩანს თავისი გაიტანა კლდევაც. ბოლოს მბრძანე-

მეორე დღეს არაბთა უბანში იპოვეს მკვლასანი არაბი და მეფეს მიჰგვარეს. არაბმა თავი ძირს დახარა და დღეგრძელობა უსურვა მბრძანებელს.

ტანმორჩილი იყო არაბი აბდულრაჰიმი, ხელი და შავი. ნაყვავილარ სახეზე წვრილი გამხვრეტი თვალბით უელავდნენ. ნავსი წითური წვერი ჰქონდა. იხით შეღებილს ჰგავდა. მეფის შეკითხვაზე ის მოკლე პასუხს იძლეოდა. ბოლოს მეფის ბრძანებით მწიგნობართუხუცესმა უამბო ყოველივე კლდეკარის ციხის მშენებლობის გარშემო.

იგი თითქოს არც ერთ სიტყვას არ ისმენსო. თვალემბოხუქული გაშეშებულ გეგონებოდათ, მაგრამ როცა მწიგნობართუხუცესმა დაამთავრა ამბავი, არაბმა მოკლე დ მოსჭრა პასუხი.

— კლდეკარს ციხე აშენდება, მბრძანებელი, მხოლოდ მაშინ, თუ აღმოსავლეთის კედელი, რომელიც სამჯერ დაირღვა, ხელახლა იქნება ამოყვანილი, მხოლოდ კედელში ჩაშენების სურვილი დედისერთა ვაჟმა უნდა განაცხადოს თავის ნებით!



ბელი წამოდგა და დაბალი ხმით სთქვა:

— სახლთუხუცესო და არავის ერისთავო, ხვალე მომგვარეთ არაბი აბდულრაჰიმი!

მეფე შეკრთა. ცოცხლად კაცის დაპარხვის ამბავმა შეაძრწუნა.

— რა სთქვი, არაბო, ეს შეუძლებელია, სხვა გზა არ არის?! იკითხა მეფემ.

— ცუდი ამბის მთხრობელი ვარ, მბრძანებელი!

ნებელი; ციხე ისე არ აშენდება! მეფე თვალღებში ჩააცქერდა მას, იღიმებოდა არაბი აბდულრაჰიმს, ეს წყეული აზრისა და ფიქრის კაცი და მოწითალო მეჩხერ წვერს იწიწნიდა.

ღამით მოუსვენრად ეძინა მეფეს, ციხის კედელში ცოცხალი ადამიანის დამარხვა ესისზმრებოდა.

იმ დღიდან ქვეყანას მოედო არაბი აბდულრაჰიმის ნაამბობი მეფისადმი.

ერთ დღეს სახლთუხუცესმა მეფეს მიპგვარა ვაჟი, რომელიც დაეინებით ითხოვდა მბრძანებლის ნახვას. თავმდაბლად მიესალმა მეფეს ჰაბუჯი და მორჩილად მოახსენა:

— დიღო მეფეო, მე ვიცი ჩემს ქვეყანას მტერი კარს მოსდგომია. ციხე-სიმაგრენი უნდა აშენდეს თქვენს ბრძანებით, გამაგია ისიც კლდეკარს ციხე არ შენდებია... მეფევ ბატონო, დედისერთა ვარ...

შეკრთა მეფე. ახლად წვერულვამ აბიბინებულს, ბრვე ჰაბუჯი იღვა მის წინ, ლამაზი, შნოიანი, მოხდენილი ყმაწვილი. უშფოთდა მბრძანებელი. ასე არ შეძრწუნებულა ის დიდ ბროლოვშიც, სიკვდილს რომ პარისის რე უტყერდა თვალღებში. ბოლოს გამოერკვა.

— ვინა ხარ ჰაბუჯო, სადაური ხარ შვილო ჩემო?—დაბალი ხმით დაეკითხა მეფე.

— ზაზას მიხმობენ მბრძანებელი, ხერხეულიძის გვარისა ვარ, ალგეთის მხრიდან! მოახსენა ჰაბუჯმა.

სამ დღეს მეფე უგუნებოდ იყო. ბოლოს იხმო სახლთუხუცესი და უბრძანა:—წადით, ეახელით ყმაწვილის დედას და მოახსენეთ ყოველივე, თუ მისი დასტური არა, ყმაწვილი თავისუფალია!

მეორე დღეს სახლთუხუცესმა ალგეთიდან ავადმყოფი დედის მოკლე პასუხი მოიტანა.

— გამიზრდია სამშობლოსათვის! მან უკეთ იცის როგორ მოიქცესო.

— ასეთია დედის სიტყვა! — მოახსენა სახლთუხუცესმა მეფეს.

იმ დღეს კლდეკარს დიდძალი ხალხი მიაწყადა. ყველას აინტერესებდა, თუ როგორ ჩაატანდნენ გმირ ჰაბუჯს კედელში. ზოგს მაინც ვერ დაეჯერებინა, ტყუილი იქნებაო, მაგრამ მაინც მიდიოდნენ. ხალხის ზღვა იდგა ციხის გარშემო. ზაფხულის დღე იყო, ცხელიადა. ცის კიდურზე მოსჩანდა თეთრად მეფეთქილი კავკასიონი. ლაყვარდ ცაზე ორუბლის ნატპალიც კი არ სჩანდა. ჯადონურად კაშკაშებდა სამხრეთის ცხრათევალი მზე. თითქო განგებ იღვრებოდა ლალ-იაგუ-

ნდის ფერები, რომ კიდევ უფრო დანანებოდა ყმაწვილი კაცს ეს ქვეყანა.

ფერმკრთალი ხუროთმოძღვარი იდგა ციხის აღმოსავლეთ კედლის ხარაჩოზე და რაღაცას ეუბნებოდა კალატოზებს.

ბოლოს დაპყრეს თუქსა და წინწილას და მობრძანდა მეფეც თავის ამალით.

შუადღისას ჰაბუჯიც ჩამოატარეს. ქამარ-ხანჯალზე ხელდაჯექნილი, თავაწეული ცასა და ქვეყანას შესცინოდა. მტყიცედ მოაბიჯებდა.

— ვაი, საბრალო შენს დედასო,—ჩურჩულდნენ მანდილოხანნი.

— უბედურ შენს სატრფოსო,—აგონებდნენ ყმაწვილს ირგვლივ შემოჯარული გოგონები.

— ვინ შეედაროს ამ გამბედაობას და შენ კარგ ბიჭობასო.—ამბობდნენ ჰაბუჯის ტოლწირები.

როდესაც ციხის კარიბჭეს მიუახლოვდნენ, ყმაწვილს წინ შეეფთა არაბი აბდულრაჰიმ. წვერილი თვალები მოეხუჭა. წარბ-შეყრილი იდგა. გვერდით რომ გაუარა, ყმაწვილს მოეჩვენა თითქოს მოხუცმა მისანმა შებღვს გახსნა და უცნაურად გაუღიმა მას. ყურადღება არ მიუქცევია. ჰაბუჯი კვლავ მტყიცედ მიაბიჯებდა, თავაწეული, ყელმოღერებული, თითქოს მშობელ ცასა და ქვეყანას შესცინოსო.

ჰაბუჯი ხარაჩოზე რომ შესდგა, ხალხი გაინაბა, როგორც ბუნება ცუდი ტაროსის წინ. ყმაწვილი ავიდა აღმოსავლეთ კედელზე, გადახედა ხალხს, შემდეგ თავი შალა ასწია და გასწორდა. გამალეებით მუშაობდნენ კალატოზები და ამოჰყავდათ კედელი ყმაწვილის ირგვლივ. ნაბრძანები ჰქონდათ მეფისაგან, დიდხანს არ გაეგრძელებინათ ჰაბუჯის ტანჯვა. სულ მალე ქვა-კირი მკერდამდე მისწვდა ყმაწვილს. ეტყობოდა ეკეროდა, უჭერდა და სწავდა.

ირგვლივ სრული დემილი იყო. თვით ბუნებაც სდუმდა. სიოც კი აღარ იძვროდა, კლდეკარის მიდამოების დაუღუგარი სიო. როდესაც ქვა-კირი ყელამდე მისწვდა ყმაწვილს, ვიღამაც ზღვა ხალხში შეჰკვივლა და ძირს დაეცა. მისცივიდნენ, გაისმა ჩურჩული, ჰაბუჯის სატრფოაო. აქა-იქ კვლავ ტროდნენ მანდილოხანნი. ყმაწვილი კი იდგა თავაწეული, ყელმოღერებული, უკანასკნელად შესცინოდა მშობელ ცასა და ქვეყანას.

ენანებოდა ყველას ეს გმირი ჰაბუჯი, რომელიც სიკვდილს უღიძოდა ისე, როგორც ახალგაზრდობა ვარდის ფურცლობას.

ტროდნენ ბეერნი. ქვითინებდნენ დედანი, მხოლოდ იღიმებოდა არაბი აბდულრა-

პიმ, ეს წყეული აზრისა და ფიქრის კაცი და მოწითალო მეჩხერ წვერს იწიწნილა.

კალატოზები წუთით შესდგნენ. უკვე ყელს ეჭობოდა ყმაწვილს ქვა-კირი. ხუროთმოძღვარი ხარაჩოთა ძელებს მიჰყრდნობოდა, მკედრის ფერი დასდებოდა.

ამ დროს მოულოდნელად შემოჯარული ხალხი გაარღვია ვილაცამ. მეფის წინ იდგა არაბი აბდულრაჰიმ. ნავსი, გამხვრეტი წვრილი თვალებით შესცქეროდა მბრძანებელს იგი.

— დიღო მეფეო, ბრძანეთ კალატოზები შესდგნენ! მოისმა არაბის ხმა.

ხალხს გააერჟოლა. კალატოზებმა მეფის ბრძანებით შეაჩერეს მუშაობა.

აუჩქარებლად აბობღდა მოხუცი მისანი ციხის ხარაჩოებზე. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, საშინელი, აუტანელი. ნელა მივიდა ის ახლად ამოყვანილ კედელთან. ქვა-კირიდან ყმაწვილის თავილა მოაჩანდა მხოლოდ. ფართო თვალები სამხრეთის უძირო, კრიალა ცისთვის მიეპყრო ჰაბუქს. სდუმდა, არავინ იცოდა რას ფიქრობდა იგი ამ ხანად.

არაბი წუთით ჩაატყერდა ჰაბუქს თვა-


ლებში და უცნაურად გაიღიმა, შემდეგ მოტრიალდა, ქვა-კირი შემოაცალა, ხალხს გადაჰხვდა და ყველას გასაგონი, მაღალი ნიით სთქვა:

— ხალხნო და ჯამაათნო, დამარცხდა სჯულის მეცნიერი, ყურანის მკითხველი, მისანი არაბი აბდულრაჰიმ. ამ ჰაბუქის გმირობამ განმაცვიფრა მე, ყველაფრის მცოდნე, გულთამხილველი მოხუცი არაბი. არაფერი ისე არ შემუტრებია მისან აბდულრაჰიმს, როგორც ამ ჰაბუქის გმირობა. სიკვდილის წინ, როდესაც მას ყელს ეჭობდა ქვა-კირი, ის წარმუხუხრელად სდგას და ელოდება აღსასრულს... ცრურწმენის კაცი ვყოფილვარ... მე ახლა გამინათლდა გონება; იმ ხალხს, რომელსაც ჰყავს ასეთი გმირები, ციხე-სიმაგრენი არ სჭირდება! ბრძანეთ მეფეო, დაარღვიონ კედელი! ყმაწვილი გაათავისუფლონ!

ერთსულოვანი, ხანგრძლივი აღტაცების ყუჩინა გაისმა. შემდეგ ხალხის გმირული და მხნე სიმღერა აგუგუხდა:

იხვე დაიზრდებიან ალბათს ლეკვები
გაღისანი,
იხ არ ამოფუდებიან ჯავრი არ სჭამონ
მბრისანი.





პიონერული აქტივი: რაზმის ხელმძღვანელი, შტაბის უფროსი, რგოლის ხელმძღვანელი, რაზმის კედლის გაზეთის რედაქტორი მოვალეა კარგად ერკვეოდეს პიონერული მუშაობის საკითხებში, იცნობდეს პიონერული ორგანიზაციის ისტორიას, მის სტრუქტურას, ერკვეოდეს პიონერული რაზმის, შტაბის, რგოლის პრაქტიკულ მუშაობაში, შეეძლოს მრავალფეროვანი და მიმზიდველი ვახალოს პიონერული მუშაობა, იცნობდეს პიონერულ ატრიბუტებს: რაზმეულისა და რაზმის დროშას, რგოლების ალმებს, საყვირსა და დოლს.

უფროსად „პიონერის“ რედაქციამ განიზრახა დაეხმაროს ამ მხრივ პიონერულ აქტივს, ვაცნოს მას მნიშვნელოვანი თარიღები პიონერული ორგანიზაციის ისტორიიდან, წამოსკრას პიონერული მუშაობის ზოგიერთი პრაქტიკული საკითხები და ამით უფრო მიმზიდველი, უფრო საინტერესო გახადოს პიონერული რაზმის და რაზმეულის საქმიანობა სკოლაში.

1921 წლის დასასრულს, მაშინ, როდესაც სამოქალაქო ომის ქარიშხალი ახლად მიწვლეული იყო და ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მომუშაებული ომით მიყენებული მძიმე ჭრილობები, კომუნისტურმა პარტიამ დაავალა კომკავშირს შეექმნა ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია — პიონერული ორგანიზაცია — და სულ მალე, 1922 წლის 12 თებერვალს მოსკოველმა კომკავშირებმა ყოფილ მაშვესტოვის სტამბაისან არსებულ საფებრიკო-საქარხნო სკოლაში ჩამოაყალიბეს პიონერული ორგანიზაცია. ეს იყო პირველი პიონერული რაზმი მთელს საბჭოთა კავშირში.

მეორე პიონერული რაზმი მოსკოველმა კომკავშირებმა შექმნეს ოქტომბრის სახელობის რკინიგზის შექვეთებულ სახელოსნოსთან 1922 წლის აპრილში. მალე პიონერული რაზმები ჩამოაყალიბდა ციმბირში, შუა აზიაში, უკრაინაში, საქართველოში და საბჭოთა ქვეყნის სხვა კუთხეებში.

1922 წლის მაისში სრულიად რუსეთის კომკავშირის კონფერენციამ წინადადება

მისცა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტს დაემუშაებინა საკითხი ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის შესახებ. ეს იყო კომკავშირის პირველი დადგენილება ბავშვთა შორის მუშაობის საკითხზე. ამავე წლის ოქტომბერში კომკავშირის სრულიად რუსეთის V ყრილობამ შეიმუშავა ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის მიზნები და ამოცანები, მისი ფორმა და შინაარსი.

მნიშვნელოვანი მომენტები პიონერული ორგანიზაციის ისტორიიდან

პიონერული ორგანიზაციის ისტორიაში დაუეციარო თარიღად ითვლება 1924 წლის 23 მაისი. ამ დღეს ნორჩ პიონერთა ორგანიზაციას მიენიჭა დიდი ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელი. ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად მოსკოვში, წითელ მოედანზე ჩატარდა ნორჩ პიონერთა ალელუმი. 20.000 პიონერი ეწვია წითელ მოედანს ამ ღირსშესანიშნავ დღეს.



ლამაზ მწკრივებად დაწყობილი, ალისფერი ყელსახვევით მკარდდამშენებელი პიონერები ზეიმით შეეგებნენ ცნობას პიონერული ორგანიზაციისათვის ლენინის სახელის მინიჭების შესახებ. ბოლშევიკური პარტიის მე-13 ყრილობის დელეგატებმა მიიღეს ნორჩ ლენინელთა ეს ისტორიული აღლუმი. ყრილობის პრეზიდიუმმა, დიდი სტალინის მეთაურობით, ჩამოიარა პიონერთა მწკრივები. ცას სწვდებოდა ნორჩი ლენინელების ერთდროული წკრიალა შეძახილი: „მზად ვართ!“

პიონერული ორგანიზაციის ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ნორჩ პიონერთა პირველი სრულიად საკავშირო შეკრების მოწვევა. ეს მოხდა 1929 წლის აგვისტოს. თვალუწყდენი საბჭოთა ქვეყნის ყოველი კუთხიდან ესტუმრნენ მაშინ მოსკოვს ნორჩი პიონერები. ისინი აქ, საკავშირო შეკრებაზე ერთმანეთს მოუთხარებდნენ თავის ლამაზ და შინაარსიან ცხოვრებასა და მუშაობაზე, უჩვენებდნენ თავიანთ მიღწევებს სპორტის სხვადასხვა სახეებში და მხატვრული თვითმოქმედების დარგში.

პირველ საკავშირო პიონერულ შეკრებაზე საყურადღებო და სამახსოვრო სიტყვით მიმართა ბავშვებს ანხ. ლახაზე მოსეს-ძე კავანოვიჩმა.

„გახსოვდეთ, თქვენი წითელი ყელსახვევი—ეს სიმბოლოა სანი თაობის კავშირისა, გავალებთ თქვენ, ნორჩ პიონერებს, იბრძოლოთ ძველი თაობის, ლენინის თაობის, ძველ ბოლშევიკთა თაობის რევოლუციური ტრადიციებისათვის, ჩვენს დიდი პროლეტარული კომუნისტური პარტიის საქმისათვის, მისი გამობრძმედილი ლენინური პოლიტიკისათვის.“

1932 წლის 21 აპრილს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმად პიონერული ორგანიზაციების ყურადღება მიმართულ იქნა სკოლისაკენ.

პარტიამ პიონერულ ორგანიზაციებს ძირითად ამოცანად დაუსახა პედაგოგებთან ერთად იბრძოლათ სწავლების ხარისხისა და აღმზრდელი მეთოდითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

1932 წლიდან პიონერული რაზმები ნაცვლად საწარმო-დაწესებულებების სკოლებში ყალიბდება. ამ დღიდან პიონერული ორგანიზაციები მშობლიური სკოლის, მასწავლებლის, აღმზრდელების დასახმარებლად ენერგიულად იბრძვიან სკოლაში სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად და დისციპლინის განსამტკიცებლად, იბრძვიან

იმისათვის, რომ თვითეული პიონერისაგან აღიზარდოს მცოდნე, განათლებული, მისმოყვარე, საბჭოთა საშრობლოს ერთგული შვილი. მაგრამ პიონერული ორგანიზაციის საქმიანობა მხოლოდ ამით როდი ამორჩეურება. ნორჩი ლენინელები საუკეთესო სწავლასთან ერთად, შემოღებისდაგვარად დახმარებას უწყევენ საშრობლოს, პარტიას, კომკავშირის სახალხო მურერნობის განვითარების საქმეში.

მრავალი პიონერია დაჯილდოებული მთავრობის მაღალი ჯილდოებით — საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით შრომის ფრონტზე წარჩინების გამოჩენისათვის.

1936 წელს საუკეთესო მეცხოველეთა თათბირზე, კრემლში 6 პიონერი იღებდა მონაწილეობას. ისინი საბატიო ნიშნის ორდენით იქნენ დაჯილდოებულნი. მათ შორის იყო პიონერი ბარასბი ხაძოგოვი, რომელმაც თავი ისახელა მეცხოველეობის დარგში. ვის არ გაუგონა პიონერი მამალაკატ ნახანგოვას სახელი? მან შესძლო საუკეთესო სწავლასთან ერთად მიეღწია ბრწყინვალე წარმატებისათვის ზამბის კრეფის საქმეში.

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხის მრავალი პიონერი იღებდა მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო გამოცანაში. 1940 წელს სასოფლო-სამეურნეო გამოცანის 29 მონაწილე პიონერი დაჯილდოებულ იქნა ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

ნორჩმა ლენინელებმა საშრობლოსადმი უსაღვრო სიყვარული და ერთგულება გამოამჟღავნეს დიდი სამამულო ომის წლებში. უყვდებოდა პიონერორგანიზაციაში აღზრდილი ნორჩი პარტიზანის, საბჭოთა კავშირის გმირის — საშა ჩეკალისის სახელი.

წითელი ვარსკვლავის ორდენებით არიან დაჯილდოებულნი პატარა პარტიზანები: მაქსიმე პოპოვი და ვალოდია რიბაღენკი. შრომის წითელი დროშის ორდენი უშეგუნებს მკერდს კიეველ პიონერ კონსტანტინე კრავჩუკს, რომელიც არ შეუშინდა სიკვდილის საფრთხეს და დაჭრილ წითელმებრძოლებისაგან ჩაიბარა საბრძოლო დროშები, გადაძალა ისინი, უცნებლად შეინახა და წითელი არმიის მიერ კიევის განთავისუფლებისთანავე დაუბრუნა საშხედრო ნაწილს. უთვალავია ნორჩ გმირთა სახელები. მათი საგმირო საქმეები ოქროს ასოებით აღიბეჭდება დიდი სამამულო ომის ბრწყინვალე ისტორიაში.

მას შემდეგ რაც გმირულმა წითელმა არმიამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა შემოსეულმა მტერს და დიდი საბჭოთა ქვეყნის ნორჩ თაობას დაუბრუნა ბედნიერა და საა-

1601





მური ცხოვრება, პატარა პიონერები გას-
კეცებული ენერჯით ეხმარებიან უფრო-
სებს სოფლად თუ ქალაქად სახალხო მე-
ურნეობის აღდგენის საქმეში. ისინი აგრო-
უბუნ სამკურნალო მცენარეებს დაჭრილი
მებრძოლების განსაკურნავად, ეხმარებიან
კოლმეურნეობებს მისაღლის ადებაში, აგ-
როებენ ლითონის ჯვართს ქაჩხნების საჭი-
როებისათვის, მზრუნველობას და ალერსს
არ აკლებენ ფრონტელთა შვილებს და რაც
მთავარია არ ივიწყებენ დიდი ლენინის ან-
დერძს, იმის შესახებ, რომ საჭიროა დაუ-
ლაღავი „სწავლა, სწავლა და სწავლა“.

პიონერული ორგანიზაციის სტრუქტურა

ე. ი. ლენინის სახელობის პიონერული
ორგანიზაციებისათვის დაწესებულია შემ-
დეგნაირი სტრუქტურა:

ა) რგოლი, რომელიც შესდგება 8-10 პი-
ონერისაგან. რგოლის სათავეშია — რგო-
ლის ხელმძღვანელი.

ბ) რაზმი, რომელიც შეიცავს 2-4 რგოლს.
რგოლის სათავეშია — რაზმის შტაბი 2-4
წევრის შემადგენლობით და შტაბის უფ-
როსი, რგოლის ხელმძღვანელებს, შტაბის
წევრებს და რაზმის შტაბის უფროსებს
ნიშნავს რაზმის ხელმძღვანელი და კლასის
ხელმძღვანელი მასწავლებელი.

გ) რაზმეული, რომელიც აერთებს სკო-
ლის, საბავშვო სახლის, ინტერნატის, პიო-
ნერბანაკის პიონერულ რაზმებს. რაზმეუ-
ლის სათავეშია რაზმეულის შტაბი 8-10
წევრით და რაზმეულის შტაბის უფროსი.

რაზმეულის შტაბის წევრებს და შტაბის
უფროსს ნიშნავს უფროსი პიონერხელ-
მძღვანელი, ამტკიცებს კომკავშირის კომი-
ტეტი და სკოლის დირექტორი.

რგოლის ხელმძღვანელები, რაზმისა და
რაზმეულის შტაბის წევრები საჭიროა შერ-
ჩეულ იქნან მოწინავე, ავტორიტეტული,
ინიციატივანი პიონერებისაგან.

ყოველ რგოლს, რაზმს და რაზმეულს მი-
კუთვნებული აქვს თავისი ნომერი. რგო-
ლებისა და რაზმების ნომრებს აწესებს რაზ-
მეულის შტაბი, ხოლო რაზმეულის ნომერს
კომკავშირის რაიკომი, ქალაქკომი.

სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციას
უფლება აქვს მიანიჭოს რაზმებსა და რაზ-
მეულს ბოლშევიკური პარტიის გამოჩენილ
მოღვაწეთა, ჩვენი სამშობლოს დიდ მზე-
დართთავართა, სამამულო ომის გმირთა და
სოციალისტური შრომის გმირთა სახელები.

ვლადიმერ ილიას-ქე ლენინის სახელო-
ბის პიონერულ ორგანიზაციაში მიღებიან
მოსწავლეები 10-15 წლის ასაკამდე.

პიონერორგანიზაციაში შესვლის მსურვე-
ლი ზეპირიტყვიერად ან წერილობით მო-
ახსენებს ამის შესახებ რაზმის შტაბის უფ-
როსს ან რაზმის ხელმძღვანელს.

რაზმის შტაბი მოვალეა გააცნოს პიო-
ნერორგანიზაციაში შესვლის მსურველს
პიონერორგანიზაციის ამოცანები, პიონერ-
თა ყოფაქცევის წესები, საზეიმო ფიცის
ტექსტი, ამ მიზნით ამაგრებს მას ერთ-ერთ
პიონერულ რგოლს.

მოსწავლის პიონერორგანიზაციაში მიღე-
ბის საკითხს სწყვეტს რაზმი თავის შეკრე-
ბაზე.

იმ კლასების მოსწავლეები, სადაც არ
არის ჩამოყალიბებული პიონერული რაზმი,
მიიღებიან ერთ-ერთი უფროსი კლასის პი-
ონერული რაზმის შეკრებაზე.


პიონერორგანიზაციაში ახლად მიღებულს
რაზმის შტაბი ჩარიცხავს რაზმის ერთ-ერთ
რგოლში.

რაზმეულის შეკრებამდე რამდენიმე
დღით ადრე პიონერორგანიზაციაში ახლად
მიღებული გადაიწერს სუფთა ქალაღლზე
საზეიმო ალთქმის ტექსტს და ლაზაზად
აფორმებს მას.

პიონერორგანიზაციაში ახლად მიღებულს
საზეიმო ალთქმას სდებს რაზმეულის სა-
დღესასწაულო შეკრებაზე: დიდი ოქტომ-
ბრის სოციალისტური რევოლუციის დღეს,
სტალინური კონსტიტუციის დღეს, საქარ-
თველიში საბჭოთა ხელისუფლების დამყა-
რების დღეს, ე. ი. ლენინის ხსოვნის დღეს,
პირველ მაისს, ახალგაზრდობის საერთაშო-
რისო დღეს, პიონერორგანიზაციისათვის
ლენინის სახელის მინიჭების დღეს და სხვ.

საზეიმო ალთქმის მიმცემნი ცალკე
მწკრივად დგებიან რაზმეულის წინ. გან-
კარგულება — „სმენას“ შემდეგ უფროსი
პიონერხელმძღვანელი აცხადებს: „დროშე-
ბის გამოტანისათვის მოემზადეთ!“ მდრო-
შეების გამოაქვთ რაზმეულის დროშა. უფ-
როსი პიონერხელმძღვანელი კითხულობს
სიას იმ პიონერებისას, რომლებიც სდებენ
საზეიმო ალთქმას, და იძლევა განკარგუ-
ლებას: „საზეიმო ალთქმის მისაღებად მო-
ემზადეთ!“

უფროსი პიონერხელმძღვანელი იწყებს
საზეიმო ალთქმის ტექსტის კითხვას:



საზეიმო აღთქმის დამდებნი უფროსი პი-
ონერებელმძღვანელის კვალდაკვალ იმეორე-
ბენ ყოველ წინადადებას, რის შემდეგ
ხელს აწერენ ტექსტზე და აბარებენ უფ-
როს პიონერებელმძღვანელს.

პიონერებელმძღვანელი ხელმოწერილი
ტექსტის მიღების შემდეგ პიონერს უკე-
თებს წითელ ყელსახვევს და მიმართავს

დევიზით: „ლენინ-სტალინის საქმისათვის
საბრძოლველად იყავი მზად!“.

პიონერი უპასუხებს:
„მზად ვარ“ — და პირველად იძლევა
პიონერულ სალამს, რის შემდეგ მიდის და
დგება პიონერული რაზმეულის საერთო
მწკრივში, მარცხენა ფლანგზე.
ამ მომენტის შემდეგ პიონერს უფლება
ემღებება ატაროს პიონერული ყელსახვევი

და დღეიზზე: „ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავი მზად!“ — უპასუხებებს:

„მზად ვარ!“.

რაზემულები და რაზემის შტაბის წევრთა, რაზემისა და რგოლის ხელმძღვანელთა განმარტავებელი ნიშნები

რაზემულებისა და რაზემის შტაბის უფროსთა და წევრთათვის, აგრეთვე რგოლის ხელმძღვანელებისათვის დაწესებულია შემდეგი განმარტავებელი ნიშნები:

რაზემულის შტაბის უფროსისათვის — სამი ზოლი.

რაზემის შტაბის უფროსისათვის — ორი ზოლი.

რგოლის ხელმძღვანელისათვის, ინსტრუქტორისა და რაზემის შტაბის წევრთათვის — ერთი ზოლი.

ზოლი — წითელი ფერისაა, სიგანით 1 სანტიმეტრი, სიგრძით ოთხი სანტიმეტრი. ზოლებს აკერებენ მარცხენა სახელოზე, იდაყვის ზემოთ.

ალმაგი და დროშები

რგოლის ალამს სამკუთხედის ფორმა აქვს. მისი ზომაა: სიგრძე — 28 სანტიმეტრი, სიმაღლე (ტარის ჩათვლით) 59 სანტიმეტრი. ალმები შეიძლება იყოს წითელი, ლურჯი, მწვანე, ცისფერი, ვარდისფერი და ისფერი.

ერთი პიონერული რაზემის ყველა რგოლისათვის ალამის ერთი, საერთო ფერს აწესებს რაზემულის შტაბი.

პიონერული რაზემის დროშა წითელი ფერისაა; მისი ზომა უდრის 60X80 სანტიმეტრს. დროშის წინა პირზე, ცენტრში გამოსახულია პიონერული ნიშანი. მის ირგვლივ კი ლოზუნგი: „ლენინ-სტალინის საქმისათვის საბრძოლველად იყავი მზად!“ — დროშის მეორე პირზე აღნიშნულია რაზემისა და რაზემულის ნომერი და აგრეთვე მისთვის მიკუთვნებული სახელი. მაგალითად, მე-5 რაზემულის, ზოია კოსმოდემიანსკაიას სახელობის №3 რაზემი.

პიონერული რაზემულის დროშაც წითელი ფერისაა, მისი ზომა კი 90X120 სანტიმეტრია. დროშის წინა პირზე გამოსახულია პიონერული ნიშანი და მის ირგვლივ იგივე ლოზუნგი.

დროშის მეორე პირზე აღნიშნულია რაზემულის ნომერი, რაიონი, ქალაქი მაგალითად: თბილისის ბერიას რაიონის №10 რაზემული“.

წახალისებისა და სასჯელის ზომები

პიონერები, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩევიან კარგი სწავლითა და ყოფიერებით, ზუსტად და დროულად ასრულებენ პიონერორგანიზაციის ამთავი დავალებს; შეიძლება წახალისებული იქნან შემდეგი სახით:

მადლობის გამოცხადება რგოლის მწკრივის წინაშე — რაზემის შტაბის გადაწყვეტილებით ან რაზემის ხელმძღვანელის განკარგულებით.

მადლობის გამოცხადება რაზემის მწკრივის წინაშე — რაზემულის შტაბის გადაწყვეტილებით ან უფროსი პიონერხელმძღვანელის განკარგულებით.

მადლობის გამოცხადება რაზემულის მწკრივის წინაშე — რაზემულის შტაბისა ან უფროსი პიონერხელმძღვანელის გადაწყვეტილებით.

ფოტოსურათის გადაღება რაზემულის გაშლილ დროშასთან — რაზემულის შტაბის გადაწყვეტილებით. პიონერი, რომელიც თავისი მოქმედებით შეზღაოვან ნორჩი ლენინელს საპატიო სახელს, შეიძლება დაისაჯოს შემდეგი სახით:

საყვედურის გამოცხადება რგოლის შეკრებაზე, საყვედურის გამოცხადება რაზემის წინაშე და საყვედურის გამოცხადება რაზემულის წინაშე.

სასჯელის ზომებს სწყვეტს რაზემის ან რაზემულის შტაბი, აუცილებლად სკოლის დირექტორის მონაწილეობით.

პიონერული ორგანიზაციიდან გარიცხვას ამტკიცებს კომკავშირის კომიტეტი, ყოველი ასეთი შემთხვევისას საკითხი განიხილება სკოლის დირექტორის მონაწილეობით. პიონერულ ორგანიზაციას უფლება ეძლევა რაზემულის შეკრებაზე რეკომენდაცია მისცეს საუკეთესო პიონერს, რომელიც კომკავშირული ასაკის, — ე. ი. 14-15 წლისა გახდება.

ყოველი სკოლის, საბავშვო სახლისა და ინტერნატის პიონერული რაზემულის მოვალეობას შეადგენს აღუზარდოს ღირსეული ცვლა ლენინურ-სტალინურ კომკავშირს.



გვყვის ხომა თბილისში

როცა მღლობიდან გადახედავთ მტკვრის ხეობას თბილისში, პირიზონტზე გამოჩნდებიან შორეული ქედები, რომელნიც თავის გაშლილი ტოტებით თბილისს ებჯინებიან, ესენი არიან: ჩრდილოეთით სავსურამო-იალონოს, დასავლეთით თრიალეთის და სამხრეთით იალოლუჯის ქედები. უფრო ახლოს მოსჩანან: კალთავით სწორი ვაკეები, ოდნავ დამრეცი ველები და ველზე კუნძულებად ამართული, მოსწორებული მღლობები. ვაკეებისა და მღლობების გადაღმა თვალს მოგტაცებთ ტაფობებში მდებარე ტბების კამკამა ლურჯი წყალი.

შორეულ არსიანის მთის ფერდობებზე იბადება მდინარე მტკვარი. იგი, ზოგან მჩქეფარე და ზოგან მოღულენე, ჯავახეთის და მესხეთის ფრიალო კლდეებს ჩამოუღის, ბორჯომის ფიქვანარებს გამოივლის და ქართლის ვაკის გაღმოლახვით თბილისში შემოიჭრება.

ძლიერია მტკვრის მოქმედება. მან დიდი როლი შეასრულა თბილისის რელიეფის გამოქმუვაებაში. მტკვრის მოქმედების შედეგი ალბეკლილია თბილისის შრეთა ფერცლებზე.

მდინარე, ქარი, მყინვარი, ზღვა და ტბა თავის მოქმედების კვალს სტოვებენ დედამიწის ზედაპირზე. მაგალითად, როცა უდაბნოს ვახეხილ წახნაგოვანი ქვები შეგვხვდება, მაშინვე ჩვენს წარმოდგენაში გადაიშლება ქვიშიანი უდაბნო, სადაც ოდესღაც გრივალი მყინვარებდა, ამ ქვებს ზეხავდა და აქანდაკებდა. როცა ოდნავ შემრგვალებული დაფხაჭნილი და მოღობული ქვები შეგვხვდება, წარმოგვიდგება ყინულის მთები, რომლებიდანაც გლტჩრებები (ხეობის მყინვარები) მოცურავდნენ და თან მოპქონდათ ჩაყინული ქვები, გზადაგზა რომ იკაწრებოდნენ და ილიებოდნენ უფრო მაგარი ქვებით; როცა ქეამარალისა და თაბაშირის შრეები შეგვხვდება, წარმოგვესახება ტბა, რომლის სანაპიროებზე ეს მარილები ილეკებოდა; დამრგვალებული, ნაგორები ქვებისაგან შემდგარი ნარიყალი მოწმობს, რომ აქ ოდესღაც მდინარე გადიოდა.

ყველა ზემოდასახელებული მოვლენაბუნების წარსულ სურათებს წარმოგვიდგენს და ამ სურათების ცვალებადობას გვითვალისწინებს.

თბილისის მიდამოებში სხვადასხვა სიმღლეზე და ადგილას გავრცელებულია მდინარის ნარიყალი, რომელიც იმას მოწ-

მობს, რომ მტკვარს რამდენიმე კალაპოტი გამოუცვლია.

მტკვრის მოქმედების გასათვალისწინებლად საჭიროა მოკლედ დავახსიათოთ მდინარე, როგორც ძალიან, რომელიც სახეს უცვლის დედამიწას. ჩვეულებრივად ყოველი მდინარე აწარმოებს ზემოწყლში ნგრევის მუშაობას, უშუალოში გადატანას და ქვემოწყლში დალექვას.

მდინარის ნგრევის მოქმედებას ეროზია ეწოდება. ყველა მდინარე აწარმოებს როგორც ეროზიულს, ისე შემოქმედ მუშაობას. თუ მდინარე ერთ ადგილას შლის და არღვევს დედამიწის ზედაპირს, მეორე ადგილას, პირიქით, ლექვას ნარიყალს. როგორც ეროზიის, ისე დალექვის პროცესის სიძლიერე მდინარის ხნოვანებაზე დამოკიდებულია.



თბილისი. კალიავეის სახელობის აღმართი.

ყოველი მდინარე ვაივლის თავის არსებობის მანძილზე ახალგაზრდობის, მოწიფულობისა და სიბერის სტადიებს.

ახალგაზრდა მდინარეები ძალიან ჩქარა მიმდინარეობენ. ისინი თავის კალაპოტში აჩენენ ჩქერებსა და ჩანჩქერებს, ტბებსა და

ქორუმებს, საფეხურებიან კალაპოტს. ამავე დროს ეროზიულად აღრმავებენ და აფართოებენ კალაპოტს. მდინარის ამ სტადიაში იმყოფებიან არაგვი და თერგი.

ახალგაზრდა მთის მდინარეებს არაჩვეულებრივი აღიდება სჩვევიათ. წყალდიდობის დროს მათ ძლიერი ეროზიული მოქმედება ახასიათებთ და დაშლილი მასალის უზარმაზარი რაოდენობით გადატანის უნარიც შესწევთ.

ახალგაზრდობის სტადიაში მდინარე საერთოდ კალაპოტის სწრაფ ჩაღრმავებას ახდენს, შლის ყოველგვარ უსწორმასწორობას და ამის შედეგად ავაკებს თავის ხეობას.

შემდეგ იწყება მდინარის მოწიფულობის სტადია. ამ სტადიაში მდინარე ნაკლებს სისწრაფით მიედინება, რადგან კალაპოტის უკვე ნაკლები დაქანება აქვს, მის ხეობაში აღარ შეხედებით ჩანჩქერებს, ეროზიული მოქმედება შემცირებულია და ქვემოწელში დაღუპვა ქარბობს.

შემდეგ მდინარეები თანდათან გადადიან სიბერის სტადიაში, მათ ზეობებს იმდენად მცირე დაქანება აქვთ, რომ მდინარეებს აღარ შესწევთ ძალა, რომ მსხვილი მასალა გადაიტანონ შორს შესართავში. იქამდე მხოლოდ წვრილი მასალა აღწევს. ეროზია მხოლოდ სათავეებში ხდება. მდინარე აქ თითქმის ამთავრებს თავის ეროზიულ მუშაობას. მაგრამ უჩვეულო რამ ხდება მდინარის ცხოვრებაში. მდინარე ზოგჯერ იწყებს გაახალგაზრდავებას და ხელახლა გავლის ხემოსხლებულ ახალგაზრდობის, გამოიფულობისა და კვლავ სიბერის სტადიებს. ეს აღიბეჭდება ხოლმე იმ ტერასებზე (ტერასა მდინარის ძველი კალაპოტის ნაშთია), რომელნიც მდებარეობენ მდინარის თანამედროვე კალაპოტის მაღლა და რომლებზეც დალაგებულია მდინარის ნარიყალო.

მდინარის გაახალგაზრდავება შეიძლება გამოიწვიოს შემდეგმა სამმა მიზეზმა: 1. მდინარის ზღვასთან შერთვის ადგილის დაწვეით, 2. მდინარის ზედა დინების არის აწვეით და 3. ჰავის ისეთი შეცვლით, რომელსაც ატმოსფერული ნალექების და, მაშასადამე, მდინარის წყლის რაოდენობის ზრდა მოჰყვება.

სამივე შემთხვევაში მდინარეს შეუძლია გაშალოს ეროზიის ახალი ხანა. მდინარე იწყებს ძველ ხეობაში, სადაც მას ფართო კალაპოტი ჰქონდა, სწრაფ ჩაღრმავებას, ხოლო ძველი კალაპოტის ნაშთები ხეობის ორივე ფერდობზე რჩებიან, ნარიყალოთ დაფარული გამოკვეთილი საფეხურების ტერასების სახით. შემდეგ კი მდინარე ისევ გაივლის განვითარების ზემოაღწერილ გზას

და, ამრიგად, შესაძლებელია მეორე, მესამე, და ასე შემდეგ, ტერასების მიღება.

მდინარე მტკვარს რამდენჯერმე განწლო ეროზიის ამგვარი გზა. ამას მოწმობს თბილისში მის მიერ დატოვებული სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე ტერასები. რა მიზეზით ხდება მტკვრის გაახალგაზრდავება? ამას იწვევდა მდინარის ქვემო დინების დაწყება კასპიის ზღვასთან ერთად.

მტკვრის მარცხენა მხარეს მდებარეობს მახათას მთა, რომლის წვერო მოვაჭრეულია. მის ვადაკვეთილ ძირითადი ქანების შრეების თავზე ალაგია მდინარის ნარიყალო. ამ ნარიყალოში გამოერევა ისეთი ქვიბი, რომელთა სამშობლო შორს იმყოფება თბილისიდან და რომლებიც ამიტომ მხოლოდ მტკვარს შეედო აქ მოეტანა. ეს არის მტკვრის პირველი კალაპოტის ნაშთი, ანუ ტერასა. ამიტომ ამ ტერასის ნაშთი მტკვრის მარჯვენა ნაპირზეც შერჩენილა. მართლაც, მახათას მთის პირდაპირ ახილულ მთაწმინდაზე რომ ავიდეთ, იქ, სადაც ამჟამად სტალინის სახელობის პარკია გაშენებული, ჩვენს თვალწინ საკმაოდ ფართო ვაკე გადაიშლება. დავაკვირდეთ ამ ვაკის კიდეებს, სადაც მთაწმინდის ფერდობები იწყება. ჩვენ დავინახავთ, რომ აქაც, მახათას მსგავსად, გადაკვეთილი შრეების თავზე იშვარჩევ ნარიყალოა განლაგებული. შორეულ წარსულში მთაწმინდა და მახათას მთები წარბოლანდენდნენ ერთ მთლიან ვაკეს, რომელზეც მტკვარი დათარეშობდა. ამ მთების გათიშვა მტკვრის მიერ ზეობის შემდგომი ჩაჭრის და ჩაღრმავების შედეგია. ამ ტერასის სიმაღლე ზღვის დონიდან დაახლოებით 600-700 მეტრს უდრის.

მახათას ჩრდილოეთით, ძველის გორის კალთებში, წავაწყდებით გადაკვეთილ შრეებზე პორიზონტურად განლაგებულ მდინარის ნარიყალს, რომელიც მახათას წვეროს ნარიყალაზე უფრო დაბლა მდებარეობს. ეს რიყის ქვიბი ისეთივეა, როგორც მახათას მთაზე. აქაც გამოერევა შორიდან მოტანილი ქვიბი. ეს არის მტკვრის მეორე ტერასა, რომელიც მდებარეობს 540 მეტრზე ზღვის დონიდან.

ახლა გადავხედოთ მტკვრის დასარჩენ ტერასებს. ბევრი ჩვენგანი ყოფილა საბურთალოზე და გვინახავს მდინარის ნარიყალოს სქელი შრე. იგი კარგად ჩანს ასბინიან სახლთან, საგზაო-საინჟინრო ინსტიტუტთან და ჩელუსკინელთა ზიდის მისასვლელთან, სადაც მკაფიოდ დავინახავთ, რომ ნარიყალი ძირითადი ქანების გადაკვეთილი შრეების თავზეა განლაგებული.

ეს, ცხადია, მტკვრის მესამე ტერასაა, რომელიც აქედან მიემართება ლენინის ქუჩით რუსთაველის პროსპექტზე. მთელი ეს პროსპექტი ამ ტერასაზეა მოთავსებული. ამავე ტერასის ნაშთზე მტკვრის მარცხენა ნაპირზე წარმოადგინენ მახათას დასავლეთ ფერდობში გამოკვეთილი არსენალის საფეხური და ავლაბრის მთავარი ქუჩა, რომელიც კახეთის მოედნიდან ნავთლულისაკენ მიემართება.


ყველაზე აქ გადაკვეთილი შრეების თავზე ალაგია მდინარის ნარიყალი. მესამე ტერასის სიმაღლე ზღვის დონიდან 520 მეტრს უდრის. ამ ტერასის წარმოშობა მოხდა მას შემდეგ, რაც მდინარე მტკვარმა თავისი კალაპოტი ჩააღრმავა და ახალი კალაპოტის გამოქმუნდა დაიწყო. მაგრამ ამით არ სრულდება მტკვრის ტერასების რიგები. მტკვრის მარცხენა ნაპირს ადგილად შევამჩნევთ ერთ სიმაღლეზე და ერთიმეორის მიყოლებით მდებარე დიდუბის ვრცელ ვაკეს, პლუზანოვის პროსპექტს, ჩუღურეთის ნაწილს მუხრანის ხილამდის და რიყეს. ეს არის მტკვრის ყველაზე დაბალი (420 მეტრი ზღვის დონიდან), მეოთხე ტერასა. აქაც გადაკვეთილი შრეების თავზე ალაგია მდინარის ნარიყალი. აქ ქუჩასაც კი ეწოდება ნარიყალი. ამ ადგილს რიყეც იმიტომ დაერქვა, რომ იქ მდინარის მიერ მოტანილი დამრგვალებული ქვა ყრია, ეს ადგილები სწორედ შეესაბამება მტკვრის მეოთხე ტერასას, რომელსაც ხშირად ჩუღურეთის ტერასას უწოდებენ. მის კვალს მარჯვენა ნაპირზეც ვამჩნევთ — სტალინის სახელობის სანაპიროზე ვერის ხილდან ვერის ბაღებამდე.

ოთხივე ტერასა მდებარეობს გადაკვეთილ ძირითადი შრეების თავზე. რამ გადაუკვეთა ამ შრეებს თავი? მდინარე მტკვარმა გადაარეცხა ისინი და მათ მოკვეთილ თავებზე დაალაგა ნარიყალის სქელი შრე.

ამრიგად მტკვრის ძირითადი ტერასები შემდეგია: I. მახათის მთის, II. ლოტკინის გორის, III. საბურთალო-ავლაბრისა, IV. ჩუღურეთის.

ყველაზე მაღლა მდებარე ტერასი (ამ შემთხვევაში მახათის ტერასი) ყველაზე უფრო ძველი არის, ხოლო, რაც უფრო დაბალ ტერასებზე გადავდივართ, მით უფრო ახლოს არის ჩვენთან მათი წარმოშობის დრო. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მტკვარს მხოლოდ ოთხი ტერასი შეუქმნია. მტკვრის ნარიყალს ჩვენ მახათაზე უფრო მაღალ ადგილებშიც ვხვდებით. მაგრამ ისინი თბილისიდან ძლიერ შორს მდებარეობენ და იმიტომ მათ აქ არ ვეხე-

ბით. ამავე დროს მთავარ ტერასებს შორის აქა-იქ კიდევ ჩანს საფეხურები, რომლებიც შედარებით სუსტად არიან გამოხატულნი. მაგრამ ისინი მოწმობენ, რომ მტკვრის ხეობის განვითარება ვაცილებით უფრო რთულ-



თბილისი. რუსთაველის პროსპექტის კუთხე.

ლი გზით მიდიოდა, ვიდრე ზემომოყვანილი მთავარი ეტაპების შესწავლის საფუძველზე შეიძლებოდა გვეფიქრა. ამის მშვენიერ მაგალითს წარმოადგენენ ის ტბები, რომლებიც მახათას მთის აღმოსავლეთით გრძელ და ვრცელ ხეობაში მდებარეობენ: კუკიასა და ავლაბრის მლაშე ტბები. ეს ტბები მოთავსებულია გრძელ არხში, სადაც ოდესღაც მტკვარი მიმდინარეობდა, და ახლა წარმოადგენენ „ძველი მტკვრის კალაპოტში დარჩენილ გუბებებს“. ტბების ირგვლივ განვითარებულია ისეთი ქანები, რომელიც ადვილად იშლება და ირეცხება.

მასალის ჩარეცხვა ამ ტბებში ხდება ჯამათ სიმაღლეზე სწორედ ამას მოუხდენია გავლენა. ხეობა, რომელშიც ტბებია მოთავსებული, მეორე და მესამე ტერასის შუამდებარეობს და, მასშალამე, მტკვარს, სანამ იგი მესამე ტერასის სიმაღლეზე ჩაქრია კალაპოტს, საკმაო ხანს უდენია ამ ხეობაში.

მეოთხე კალაპოტის ჩაღრმავების შემდეგ მტკვარმა კიდევ მეტად გახერხა მახათას-

მთასა და მთაწმინდას შორის დადაბლებული ადგილი და თითქოს საბოლოოდ ჩაიზიდა ღრმა ხეობაში, რომელიც უკვე საკმაოდ გააფართოვა და გაავსა.

ამჟამად მტკვარი მოქცეულია დაბეტონებულ კალაპოტში. მეტეხს ქვემოთ მტკვრის ხეობას მცირე დაქანება აქვს და ამიტომ მდინარეს აღარ შესწევს ძალა შორს გადაიტანოს მსხვილი ნაშალი მასალა, ის გზადაგზა სტოვებს მას და აჩენს კუნძულებსა და თავთხელებს.

ასეთი წარმოშობისაა ორთაქალის და სოღანლუღის კუნძულები, რომლებზეც დალექილია თანამედროვე ნოყიერი შლამი, სადაც ცხოვრობს მოსახლეობა და გაშენებულია ბაღ-ბოსტნები.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ დიდ ეროზიულ მუშაობას ეწევიან აგრეთვე მტკვრის შენაკადები თბილისის ფარგლებშივე. ესენი არიან: ვერე, ვარაზისხევი, წვეკისისწყალი, კრწანისისხევი და მრავალი წყალმტკირე ან არამულმივი, დროებითი ხეხევი, რომელთა მოქმედებით ასე დასერილია თბილისის მიდამოები.

ისინი ცდილობენ გააღრმავონ და გააფართოონ თავისი კალაპოტი და ამ გზით შეუცვალონ სახე თბილისის რელიეფს.


ზოგიერთი მათგანი მოწმენდილ ამინდში არც კი ჩანს თავის კალაპოტში, მაგრამ საკმარისია წვიმა მოვიდეს, რომ ეს პატარა ნაკადულები საგრძნობლად აღდიდნენ. ზოგჯერ ისინი ძალიან საშიში ხდებიან თბილისისათვის, რადგან გლეჯენ და რეცხავენ

ფერდობებს და ღორღი და შლამი ჩამოქვეითებული თბილისის ქუჩებში.


აღსანიშნავია 1940 წლის 10 მაისის წყალდიდობა თბილისში, რომლის დროსაც ეს ხეხევი დიდ მდინარეებად გადაიქცნენ. მარომეტრი 716 მმ უჩვენებდა. თბილისის ჩრდილო-დასავლეთით გამოჩნდა სქელი და შავი ღრუბლები. სულ მალე ცის კაბადონი, საწვიმე ღრუბლებით დაიფარა. დაიწყო კოკსპირიული წვიმა, რომელიც დამის 12 საათამდე გაგრძელდა. ვანუწყვეტელი თქეში შესცვალა სეტყვამ, რომელიც ერთ საათს გაგრძელდა (სეტყვის მარცვლები კაკლის ტოლა იყო). სეტყვის ზეწარი გადაეფარა თბილისის (სეტყვის სისქე 12 სანტიმეტრს აღწევდა და ზოგან სამ დღემდე არ დამდნარა). თბილისის მახლობელ ქედებიდან ნი-აღვრის ჩანჩქერები სჩქვდა. თბილისის თვითეული ქუჩა წყლით სვეს ხეცს წარმოადგენდა. თბილისის ფერდობებიდან წყალი ხმაურობდა, მან დაანგრია ქუჩები, შენობები და ბაღები. იყო აგრეთვე ადამიანის მსხვერპლიც.

მტკვრის ეს შენაკადები და დროებითი ხეხევი ტიბიურ ახალგაზრდა მდინარეებს მოგვაგონებენ, მათ ამ სტადიისათვის ყველა დამახასიათებელი ნიშნები აქვთ: კალაპოტის დიდი დაქანება, ჩანჩქერები, ვიწრო ფლატეებიანი ხეობები და სხვა.

ასეთია მტკვრის ხეობის თავგადასავალი თბილისში. მტკვარმა გამოიმუშავა მთელი ის არემარე, სადაც დღეს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი თბილისი არის გაშენებული.



თბილისი, კარლ მარქსის სახელობის მოედანი, მარცხნივ—მდინარე მტკვარი.



... ისინი თანამდებარე აღმავლები არიან. მათზე არაფერია არა-
ფერს არ სწავს, წოდებზე მათ არა აქვთ, ხარისხიც მცირე აქვთ, მაგრამ
ესენი არიან აღმავლები, რომელთაც ჩვენ ვეძრუნობით, რომლებიც
მშვენიერი მუშაობა ფუძისა.

ი. სტალინი

საქართველოს ისტორიის ფურცლებზე
მოხსენებულ წარჩინებულთა შორის, —
გვარით, წოდებით და თანამდებობით სა-
ხელგანთქმულ დიდებულთა გვერდით, —
გვეხვდებით სახელები შედარებით უჩინარი
აღმავლებისა. ისინი ისწავლებიან მშვენიერად.
მხედართმთავართა და საზოგადო მოღვაწე-
თა მახლობლად, მაგრამ ხშირად არ სარ-
გებლობენ ჯეროვანი ყურადღებით. მათი
სახელები უმთავრესად ხალხში შეინახა და
მოკრძალებით გადმოსცა მადლიერ შთაბე-
ჭებლებს. ჩვენი ცალია შევისწავლოთ მა-
თი ღვაწლი და სამაგალითოდ გაეხილათ

მათი ცხოვრება. თავდადებული ქვეყნით და
საქმით ისინი ხელს უწყობდნენ სამშობ-
ლოს დაცვის, სიმტკიცისა და დიდების
საქმეს. ისინი არიან: იოანე მარუშისძე,
საჩინო ბარათაშვილი, კახაბერ ხერხეული-
ძე, თეოდორე ცველიძე, ცხრა ძმა ხერ-
ხეულიძე, ხულია ბორჩალოელი, დათუნა
ფეიქარი, სამასი არაგველი და მრავალი
სხვანი.

ჩვენ განვიზრახეთ მკითხველებს დროგა-
მოშვებით მოეუთხროთ საქართველოს
ისტორიის ამ „პაწია ქრანების“ ცხოვრე-
ბისა და ღვაწლის შესახებ.

იოანე მარუშისძე

უფლისციხის კლდექალაქის ნანგრევებს
დღემდე შემოუნახავს კვალი დიდი წარ-
სულისა. ერთ ღროს იგი ქართლის გულს
და მეფის ტახტის სადგომს წარმოადგენდა.
ეს იყო დიდი ხნის წინათ, მე-10 საუკუნეში,
როცა ჩვენი ქვეყანა ჯერ ცილვე არ იყო
მოტიანი და ერთხელისუფლებით განმტკი-
ცებული.

დიდგვარიანი აზნაურები, ვრცელი მიწე-
ბის მებატონენი და ეკლესიის დიდი მსა-
ხური დღენიდაც ერთიმეორეს ებრძოდნენ
და ხელს უშლიდნენ ჩვენი ქვეყნის გაერ-
თიანების წმიდა საქმეს, რომლის დიდი
შედეგი უფლების აყრას უქადა და უღირ-
სად და უმართებულად დაწინაურებულთ.
ასეთი იყო საქვეყნო ვითარება შორეულ
წარსულში, მე-10 საუკუნის უკანასკნელ
ხანებში, როცა საქართველოს მთვევინა
მარტოოდენ სამშობლოს დიდებით გატა-
ცებული სახელოვანი მოღვაწე იოანე მა-

რუშისძე. მისი უმთავრესი სწრაფვის სა-
განს წარმოადგენდა საქართველოს გაერ-
თიანება, რაშიც იგი ნათლად შეერეტდა
ძლევაშილი სამშობლოს წინსვლას.

საქართველოს ცალკეულ ნაწილებში არ
იყო ერთგვარი ვითარება: დასავლეთში
მეფობდა უსინათლო თეოდოსი, სამხრეთ-
ში — დავით კურაპალატი, ხოლო აღმო-
სავლეთში დიდგვარიანი აზნაურები ბატო-
ნობდნენ. უსინათლო მეფემ აშლილობა
ლაშქვადრა დასავლეთ საქართველოს
მართვის საქმეებში, პირადობით გატაცებუ-
ლი დიდგვარიანი აზნაურები კარგს არას
უქადდნენ აზნაურული საქართველოს,
სამხრეთ საქართველოს ჰყავდა მხოლოდ
სახელგანთქმული წინამძღოლი დავითი —
მათალი დირსებებით ცნობილი როგორც
ჩვენში, ისე ჩვენი საზღვრების მიღმაც.

აი ვისკენ მიაპყრო შორისმგერტელი
თვალი იოანე მარუშისძემ. იგი გადასწყ-

ვეტს: ხმა მიაწოდინოს ღირსეულ მპყრობელს, სთხოვოს დალაშქვრა ახგარებით გატაცებულ დიდგვარიანთა, აიღოს ქართლი და გადასცეს ის კანონითა და ღირსებით უფლებამოსილს, ვისაც ექნება უნარი ერთიანი საქართველოს შექმნისა და განმტკიცებისა. ასეთ უფლებამოსილ პირად მიჩნეულ იქნა დავით კურაპალატის შვილობილი ბაგრატ მესამე — მამით ქართველთა, ხოლო დედით აფხაზთა მეფეების შთამომავალი. არც უსინათლო თეოდოსს და არც დავით კურაპალატს მემკვიდრე არ ჰყოლიათ. ამრიგად, მხოლოდ ბაგრატ მესამეს შეეძლო საქართველოს სამეფოების გაერთიანება; მას ამ საქმისათვის მოუპოვებოდა ორი თვალსაჩინო უპირატესობა: კანონიერი შთამომავლობა და პირადი ღირსებები.

ღიმი ქართველი მამულიშვილის განზრახვამ გაიმარჯვა. ღვით კურაპალატი მიიხსრო იოანე მარუშისძემ. მეფე ჯარით გამოეშურა ქართლისაკენ, ქვაზრელთან დადგა, მას მიეგება იოანე მარუშისძე და მათი შეთანხმებით „მიუბოძეს ბაგრატს მეფობა“ გაერთიანების გზაზე შემდგარი საქართველოსი. ეს მოხდა 977 წელს. ახალმა მეფემ თავის სამყოფად ქალაქი უფლისციხე აირჩია. ასე დაიწყო დაქუცმაცებული საქართველოს შეერთების დიდი საქმე.

უწინარეს ყოვლისა მეფემ ალაგმა დიდგვარიანი განდგომილები, შემდეგ საქართველოს კუთხეებს დაუკავშირა. იოანე მარუშისძემ შესძლო უსინათლო თეოდოსის მომხრეების თვალის ახელა და მათი გადმობირება. უსინათლო მეფე დავით კურაპალატთან გაგზავნეს, ხოლო მისი სამფლობელო ბაგრატმა ჩაიბარა. ამის შემდეგ

მეფემ დაამარცხა კლდეკარის ურჩი ერისთავი და თრიალეთის მთიანეთი უმეფოებდა. ია. 1001 წელს გარდაიცვალა დავით კურაპალატი და მისი სამფლობელოს ნაწილი პალატის სამეფოს შემოუერთდა. 1008 წლიდან ბაგრატის განმგებლობაში გადმოვიდა შავშეთ-კლარჯეთი, სამცხე და ჯავახეთი. 1010 წელს ბაგრატ მეფემ კახეთ-ძლეგამოსილი ბრძოლა გადაიხადა ხევნი ქვეყნის მტრების წინააღმდეგ და განწირვის კარამდე მიიყვანა მტრით გარშემორტყმული თბილისის საამირო*). სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი ბაგრატ მესამე გარდაიცვალა 1014 წელს და დაკრძალულ იქნა მის მიერვე აშენებული ბედიის ტაძარში.

ამ დიდ საქმეთა ხელისშემწყობი, ჩუმი და უანგარო მუშაკი იოანე მარუშისძე ისევე შეუძინველად განზორდა ქვეყანას, როგორც შემოვიდა საქართველოს ისტორიაში. დარჩა მხოლოდ დიდი კვალი უკვდავი საქმის, რომლის წყალობით შემზადდა ნაიდავი დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ძლეგამოსილი საქართველოს ასაყვავებლად.

*) სამმართველო ერთეული არაბთა ბატონობის დროს.

რედაქციის შენიშვნა: სარედაქციო კოლეგიის წევრის ანხ. ნ. ბერძენიშვილის თბილისში არ ყოფნის გამო ეს წერილი მის მიერ წაკითხული არ არის.



„მონყვევილი ვარსკვლავი“ ანუ მეტეორი

მოწყენილი უმთვარო ღამეში ცაზე უამრავი ვარსკვლავი მოჩანს. მათ შორის ზოგჯერ რაღაც გაიელვებს და სწრაფად ჩაქრება. ისეთი შთაბეჭდილება რჩება თითქოს ვარსკვლავი მოწყდა — ჩამოვარდა. ზოგს ეს სინამდვილე ჰგონია და ფიქრობს, თითქოს ცას ვარსკვლავი მართლაც მოწყდა, მაგრამ ეს სინამდვილე არ არის. მეცნიერები, ასტრონომები ამ მოვლენას მეტეორის ვარდნას უწოდებენ.

მეტეორების ვარდნამ, ძველ უეცი ხალხში, მრავალი შემცდარი აზრი წარმოშვა. მაგალითად, ფიქრობდნენ: თითქოს ყოველ ადამიანს ცაზე თავისი ვარსკვლავი ყავს. როცა ადამიანი იბადება, ცაზე მისი ვარსკვლავი ჩნდება; ზრდასთან ერთად იზრდება ვარსკვლავიც, ხოლო როცა ადამიანი კვდება, მისი ვარსკვლავი ვარდება. ამ მცდარი აზრის ნაშთმა ჩვენამდეც მოაღწია და მეტეორის ვარდნისას ზოგნი ფიქრობენ, ვიღაც მოკვდაო.

ასეთი შემცდარი აზრის განვითარებამ, ძველი ხალხი, იმ დასკვნამდე მიიყვანა, თითქოს შესაძლებელი იყოს ვარსკვლავებზე დაკვირვებით გამოვარკვიოთ ადამიანის მომავალი ანუ ბედი. გაჩნდნენ მკითხავებიც, რომლებიც ადამიანის ბედის გამორკვევას აწარმოებდნენ ვარსკვლავების მიხედვით. მათ მკითხაობას სინამდვილის ნახანცი კი არ გააჩნია, მაგრამ უეცი ხალხს მაინც აჯერებდნენ და ატყუებდნენ.


მეტეორების ვარდნის შესასწავლად და ამასთანავე სხვა მიზნებისათვისაც, ძველი დროიდანვე დაიწყეს ვარსკვლავთა კვლევა. ვარსკვლავები დაჰყვეს ცალკეულ ჯგუფებად. თვითუფლ ჯგუფს ანუ თანავარსკვლავულს საკუთარი სახელებიც კი დაარქვეს. მაგალითად, გაგიგონიათ, ალბათ, დიდი დათვის თანავარსკვლაველი, პატარა დათვის თანავარსკვლაველი, გედის თანავარსკვლაველი და სხვა.

ვარსკვლავებზე სისტემატური დაკვირვებისათვის შედგენილია ვარსკვლავთა რუკები. გამოირკვა, რომ ვარსკვლავებმ, ადამიანთა მსგავსად არც იზრდებიან და არც კვდებიან. მათი რიცხვი ცაზე უცვლელია. ეს გვიჩვენებს, რომ ვარსკვლავის მოწყვეტა მხოლოდ მოჩვენებაა. მეტეორების ვარდნას ვარსკვლავებთან კავშირი არა აქვს.

ვარსკვლავები ჩვენგან ძალზე შორს იმყოფებიან. უახლოესი ვარსკვლავიც კი

ჩვენგან დაშორებულია 40.000 მილიარდი კილომეტრით. სხვა ვარსკვლავები კიდევ უფრო შორს იმყოფებიან. ყოველი ვარსკვლავი უზარმაზარ გავარვარებულ ბურთისებურ სხეულს წარმოადგენს. მათი მოახლოებაც კი მიუღწევად დასწვავს. მეტეორები კი ისეთებიან დედამიწის მახლობლოში: 100 ან 150 კილომეტრის სიმაღლემდე.

რისგან არის გამოწვეული მეტეორის ვარდნა?



ციდან ვარდნილი ქვა (XVI საუკუნის გრაფიურა)

სივრცეში, სადაც მოძრაობს დედამიწა, მზის გარშემო, მოძრაობენ აგრეთვე უთვალავი წერილი კენჭები, კოსმიური სხეულების ნამსხვრევები. მათ მეტეორიტებს უწოდებენ. დიდი უმრავლესობა მეტეორიტებისა ძალზე მცირე სიდიდის და მცირე მასის მქონეა; ერთიდან ათი ან თხუთმეტი გრამი. ზოგიერთი გრამზე ნაკლებიც არის. იშვიათია დიდი, რამდენიმე ტონა, მასის მქონე მეტეორიტები.

მეტეორიტები სივრცეში დიდი სისწრაფით მოძრაობენ. ერთ სეკუნდში 50-დან 100 კილომეტრს გარბიან. ასეთი დიდი სისწრაფით ზოგი მათგანი ეჯახება დედამიწას. პირველად მეტეორიტი შემოიჭრება დედამიწის ატმოსფეროს მაღალ ფენებში. პაერის მოლეკულებთან დაჯახების გამო მეტეორიტი ხურდება და სანამ დედამიწის ზედაპირს მოაღწევდეს, ლღვება, დუღდება

და გავარვარებულ ორთქლად იტყევა. ამ დროს შეიძლება შევამჩნიოთ, რომ ცაზე სწრაფად გაიფრებენ ზოლი, რასაც მეტეორის ვარდნას ვუწოდებთ.

მეტეორების უმრავლესობა თავიანთი სიმცირის გამო ჰაერშივე იწვის და დედამიწაზე ცვივა მათი ფერფლი, რაც ჩვენთვის შეუმჩნეველია. დედამიწას რომ ატმოსფერო არ ჰქონდეს, ეს მცირე ზომის კენჭები დიდი სისწრაფით დაეცემოდნენ დედამიწის ზედაპირზე და დიდ მსხვერპლს გამოიწვევდნენ. დედამიწის გარშემო არსებული ჰაერი გვიფარავს მეტეორიტთა „ზაღბისაგან“.



კაშკაშა მეტეორი

ზოგი მეტეორიტი ისე დიდია, რომ ჰაერში მთლიანად აორთქლებას ვერ ასწრებს და დედამიწის ზედაპირზე ვარდება.

ამ შემთხვევაში იწვევს დიდ მანძილზე განათებას და ხმაურს. აი როგორ აგვიჩვენოს ი. ასტაპოვიჩი ერთი მეტეორიტის ჩამოვარდნას.

„1939 წლის 23 ივნისს სოფელ ჩერნოვში (სუბსკის მხარე) დღის ორ საათზე მოისმა მეხის ხმა, თუმცა მოწმენდილი ამინდი იყო. შემდეგ მას მოჰყვა ჭრიჭინი და ბოლოს რაღაცის ჩამოვარდნის ხმა. მეზუთე ჯგუფის მოსწავლე ვასილ პოლოზიუკი მიხვდა ეს ალბათ მეტეორის ჩამოვარდნა არისო და ძებნა დაუწყო. დიდი ხნის ძებნის შემდეგ მინდორში ნახა ორმო, რომლის ფსკერზე შავი ქვა ეგდო. შემდეგ ქვა აღმოჩნდა ნაცრისფერი, შავი ფერფლით დაფარული. ეს ქვა ერთნახევარ კილოგრამს იწონიდა.“

მოსწავლე ვასილის მამამ (კოლმეურნე) ეს ამბავი ასტრონომიულ ობსერვატორიას აცნობა, შემდეგ ეი აცნობეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას. ქვა მოსკოვს ჩამოიტანეს, და მართლაც მეტეორიტი აღმოჩნდა. პოლოზიუკმა დიდი ჯილდო მიიღო მეცნიერებათა აკადემიისაგან, რადგან მეტეორიტები მეცნიერებისათვის დიდ განძს წარმოადგენენ“.

ასეთი მეტეორიტების შესწავლით გამოირკვა, რომ უმრავლესობა მათგანი ქვა არის, ხოლო ზოგიერთი რკინისა და სხვა ლითონების ნარევისაგან შესდგება.

ამრიგად, გამოირკვა, რომ მეტეორების ვარდნას არავითარი კავშირი არა აქვს ვარსკვლავებთან და არც ადამიანის ბედთან, ჩვენ ცხოვრებასთან. ამასთანავე გამოირკვა, რომ ვარსკვლავებსაც არავითარი კავშირი არა აქვს ჩვენს ბედთან.





მითოლოგიის
ლექსიკონი

ათენა-პალასი, პალადოსი (მინერვა)—სიბრძნის, ომის, ხელობისა და ხელოვნების ქალღმერთად ითვლებოდა. როგორც სიბრძნის ქალღმერთი, ათენა, ძველთა წარმოდგენით, შეიძლება დაბადებულიყო მხოლოდ თვით ყოვლად ბრძანებულის თაიდან. მითოლოგის გადმოცემით, ზევსმა ერთხელ საშინელი თავისტიკივილი იგრძნო და უბრძანა ჰეფესტოსს — თავი გამიჩეხეთ. და აი ზევსის მარადიულ თავიდან გამოვიდა ქალღმერთი ათენა სრული. საომარი შეჭურვილობით. სწრაფად გადმოხტა იგი მიწაზე, ღონივრად იქნევა მუშს და მთელი ოლიმპო შეაზანზარა; საშინლად დაიკვნესა დედამიწამ, აზვირთდნენ ტარლები ზღვაზე და მოასკდა წყალი ნაირებზე; სხივმოსილმა ჰელიოსმა შეაჩერა თავის მერანთა ჰენება და წამოვიდა ოქროს წვიმა მიწაზე. დაიდი და მშვენიერი ქალწული წარსდგა განცვიფრებულ ოლიმპელსა წინაშე. ასეთი უცნაური და არაჩვეულებრივი იყო ათენას დაბადება.

პომპროსის იმავე პიონში, რომელიც ათენას ზევსის თავიდან დაბადების მითს ედმოგვემს, ათენას „ტრიტოგენია“ ეწოდება. რაც ზეციურ „წყალთადაბადებულს“ ნიშნავს. ორივე შემთხვევაში ათენა უღედოდ არის დაბადებული. პოეზიაში ათენას ჩვეულებრივ „ყოვლისშემძლე მამის ასული“ ეწოდება. ესქილეს ტრილოგიაში „ორესტეა“ თვითონ ათენა ამბობს:—„მე ასული ვარ მხოლოდამხოლოდ მამისა“. მითი ზევსის თავიდან, უღედოდ ათენას დაბადებისა უთუოდ იმ პერიოდს ეკუთვნის, როდესაც ადამიანის ფაქტიური ცხოვრების პირობების განვითარებასთან დაკავშირებით მამის უფლებამ (პატრიარქატმა) გამარჯვება მოიპოვა დედის უფლებაზე (პატრიარქატზე). „ათენა, დაბადებული ზევსის თავიდან,—ამბობს პოლ ლაფარგი,— ცოცხალი პროტესტია პატრიარქალური ოჯახის მიმართ“. ამიტომ იყო, რომ, როდესაც მამისთვის შურისმაძიებელი დედისმკვლელი ორესტესი წარსდგა არეოპაგოსის სამსჯავროს წინაშე და მსჯავრის გამოტანისას მსაჯულთა ხმა თანასწორად



მარმარილოს ქანდაკება ათენა-ვარვაციონი, ფიდიასის „ათენა-პართენის“-ის მიბაძვა. ნაოფენია ათენში ვარვაციონის მახლობლად (ქანდაკების სიმაღლე 1 მეტრია). დაკულია ათენის მუზეუმში.

გაციო, ათენამ, ამ გასამართლებას რომ თავმჯდომარეობდა, ორესტესს დაუჭირა მხარი და ეს მხარდაჭერა დასაბუთა მამის უპირატესობით დედასთან შედარებით. ოჯახის უფალი მამა, იგი არის „ოჯახის დამცველი“ და ამიტომ „იმ ქალის ბედზე არ ვიზრუნებ, რომელმაც თავისი ქმარი მოკლა“, — იცხადებს ათენა.

ათენა აგრეთვე ომის ქალღმერთად, ქალაქების მფარველად, გმირების ბრძენ მრჩეველად და მით დამცველად ითვლებოდა. პალასი, პალადოსი („ღონივრად მომქნევი“ შუბისა)—ასეთია ათენას, როგორც მეომარი ქალის მულმივი ეპითეტი და

შეიძლება ითქვას, მისი მეორე სახელი. მართალია, ომის ღმერთად არესი (მარსი) ითვლებოდა, მაგრამ ამავე როლს ათენაც ასრულებდა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არესი აღვირახსნილი, უაზრო, სისხლით გაუმძღარი ომის ღმერთია, ათენა კი გონივრულად, წინდახედულად, სამხედრო ოსტატობით წარმოებული ომის განსახიერებაა. თავისი ძლევამოსილი და ოსტატური ბრძოლით მან დიდი დახმარება გაუწია მამას ტიტანების აჯანყების ჩასახშობად.

ათენა-პალასის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იყო ქალაქი ათენი. არსებობს თქმულება, რომ, როდესაც მეფე კევროფსმა დააარსა ეს ქალაქი, პოსეიდონსა და ათენას დავა მოუყვიადა, თუ ვისი სახელი უნდა დარქმეულია ამ ქალაქს. მაშინ პოსეიდონმა დაჰკრა თავისი სამკაბი დედამიწას და ამოხეთქა ზღვის მლაშე წყალმა, საიდანაც ამოვიდა ცხენი,—მეორეული სიმაძაქის სიმბოლო; დაჰკრა ათენამ თავისი

შუბი და მიწიდან ამოვიდა ზეთის ხე, — მშვიდობიანობისა და სიუხვის, ეკონომიკური კეთილდღეობის სიმბოლო. ოლიმპის ომერთებმა ზეთის ხე უფრო სასარგებლოდ სცნეს ქალაქისათვის, ამიტომ ქალაქი ათენას გადასცეს და მისი სახელი უწოდეს. ზეთის ხის ასეთი უპირატესობა ცხნთან შედარებით საბერძნეთის ადგილობრივი პირობებით აიხსნება. მთავარიან საბერძნეთში ზეთის ხე ხარობს შესანიშნავად და ის ამ მწირნადადიათი ქვეყნის სიმდიდრის უმთავრეს წყაროს შეადგენს.

ათენა სხვა ქალაქების მფარველად ითვლებოდა. ტროადელლები მას თავისი ქალაქის ტროას მფარველად თვლიდნენ. ათენა-პალასის მომცრო ხის ქანდაკება—პალადიონი, თითქოს ციდან ჩამოვარდნილი და შემდეგ ბერძნების მიერ ვატაცებული, ტროადელებს სამშობლოს უშიშროების საწინდრად მიჩნდათ. ახლა, ვადატანითი მნიშვნელობით, პალადიონი ვისიმე კეთილდღეობისა და თავისუფლების საწინდარს ნიშნავს.

ხელობის განვითარებასთან დაკავშირებით მის საერთო მფარველად ბერძნებს ათენას ჰყავდათ მიჩნეული. ამის მიხედვით ათენას სპეციალური სახელი ეწოდებოდა—ათენა-ერგანი. განსაკუთრებით პატივსაცემდნენ ათენას, როგორც ქალის ხელსაქმის (ქსოვისა და რთვის) გამომგინებელსა და მფარველს.

ათენას მუღმივი თანამგზავრი არის ბუ, რომელიც თავისი გამომეტყველი თვლებით სიბრძნის შთაბეჭდილებას სტოვებს. გლაკობას—„ნათელთვალა“, „ბუთვალა“—ასეთი ეპითეტი აქვს მიკუთვნებული ათენას ჰომეროსის პოემაში. ათენას მუღმივი თანამგზავრია აგრეთვე გველი ერთიანობის, რომელიც საბერძნეთის მიწის წიაღიდან ამოსულა, ათენას აღუზრდია და ათენელებს თავის წინაპრად მიუჩნევიათ.

ბუს, გველის ასეთი პატივისცემა ტოტემისტურ წარმოდგენათა (ცხოველის თუ მცენარის ზებუნებრივი ძალის მქონედ მიჩნევაზე აგებული რელიგიური შეხედულების) გამოძახილია.

ათენასადმი მიძღვნილ მთელ რიგ დღესასწაულთა შორის ყველაზე ბრწყინვალე პანათენეა იყო, რომელიც ათენაში იმართებოდა ყოველწლიურად. ამ დღესასწაულზე თავს იყრიდა ურიცხვი დამსწრე-მოწაფილე საბერძნეთის ყველა კუთხიდან. დღესასწაულობდნენ აგრეთვე მცირე პანათენეას, რომელიც ბავშვთა დღესასწაულად ითვლებოდა.

ათენას რომაელები მინერვას უწოდებ-

დნენ. მინერვას მთავარი ქანდაკება რომაელებში, კაპიტოლიუმის ტაძარში იყო შედგენილი და იუნონას გვერდით და თავყვანსა სცემდნენ მას, როგორც მთელი სახელმწიფოს მფარველს. მინერვას პატივსაცემად რომში იმართებოდა დღესასწაულები — მარტა და ივლისში ხუთდღიური არდადეგები—კვინკვატრუს (Quinquatrus), რაც უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობის დღესასწაულად ითვლებოდა.

პერიკლეს დროს (V საუკ. ძვ. წელთაღრიცხვით) ათენა-პალასს აუგეს შესანიშნავი ტაძარი—პართენონი—უბიწო ქალმერთის ტაძარი („პართენოს“ ნიშნავს ქალწულს, უბიწოს. ათენა მარად უბიწო ძილდმერთად ითვლებოდა). პართენონში იდგა 12 მეტრი სიმაღლის ქანდაკება „ათენა-პართენოს“ („ათენა-ქალწული“) — გენიალური ხელოვანის ფიდიასის მიერ ოქროსა და სპილოს ძეღისაგან გამოქანდაკებული. ათენა იდგა მშვიდად, დიადო, უმწიველი და კეთილშობილი. მარჯვენა ხელში, მსგავსად ზევსისა, გამარჯვების ქალმერთის ნიკეს ქანდაკება ეჭირა, როგორც მტერზე გამარჯვების მომნიჭებელი. მარცხენა ხელით დაარდნილი იყო ფარზე (ეგისი), რომელზეც ბერძნებისა და ამორთალების ბრძოლის კომპოზიცია იყო გამოსახული, ცენტრში კი — მედუზას თავი. ტანთ ოქროს გრძელი პეპლოსი ეცევა. თავს ოქროს მუზარადი ეხურა, —სფინქსის, წყვილი მერანისა და ფსკუნჯების გამოსახულებით. ფეხთ გველი ერთიანობის მიიკლავებოდა. ეს ქანდაკება, „ოლიმპის ზევსის“ ქანდაკების შემდეგ, ფიდიასის უდიდესი ქმნილება ყოფილა.

ფიდიასის მიერვე ჩამოსხმული იყო ბრინჯაოსაგან უზრმაზარი (სიმაღლით 7 მეტრი) ქანდაკება „ათენა-პრომაქოს“ („ათენა-მეწიწივე მეომარი“). ეს ქანდაკება ათენაში ღია ცის ქვეშ აკროპოლისის მოედანზე იდგა, მთელ ქალაქს დაჰყურებდა და შორიდან, ზღვის მხრიდან კიაფობდა, თურმე, ვით კაშკაშა ვარსკვლავი.

ენობილი იყო აგრეთვე სპილენძის ქანდაკება „ათენა-ლემნია“, ფიდიასის მიერ კუნძულ ლემნოსის ბერძნების შევეკითებულ შესრულებული. ქანდაკება აკროპოლისში იყო და ქალის კეთილშობილი სილამაზის საუკეთესო ნიმუშად ითვლებოდა.

ფიდიასის არც ერთ ქმნილებას არ მოუღწევია ჩვენამდე. მოიპოვება მხოლოდ მათი მიმადეანი.

ბრძოლის გვიჩაგს, სწავლის გვიჩაგს



ტექსტი იოსებ გრიშაშვილისა
დინჯაძე:

მუსიკა თამარ შავერიაშვილისა

Canto

1. თვარ. ციმ-ცი-მა გო-გო-ნე- ბო,

Piano

mf

ჭა- ბუ- ჯე- ბო ჩვე-ნი მხა- რის,

p

მვა-ღა თქვენ-კანს ჩე- მი რით-მა შეს-ტო-ნის და შე-შოქ- ხა- რის.

p

ნეტარების წუთი დადგა, აშრიალდნენ ჩონგურები:
დაგვიბრუნდნენ, დაგვიბრუნდნენ ვალმოხილი ლომგულები.
აუციკიცილი მოზარდებო, მიეგებეთ სტუმრებს გუნდალ,
თქვენი კარის მეზობელი სახლის კერას დაუბრუნდა!
დაგვიბრუნდნენ, არა როგორც ჯაბანი და ნარისხვალი,
დაგვიბრუნდნენ, როგორც ქარქაშს უბრუნდება თავის ხმალი.
ბეგრმა ვეღარ მოაღწია, გადაეცა მიწა ბინალ,
მტერს შეაყვდა მამულისთვის, რომ თქვენ ტყბილად დაგვიცინათ,
რომ შეეშროთ თქვენს ლოყებზე მოკამყამე ცრემლთა დენა,
რომ დაეცვათ თქვენი გაზრდა, თქვენი კარგი დედაენა.
თქვენც მებრძოლთა ნაწილი ხართ, მათი წიბო, მათი ძვალი,
თქვენ სუნთქვა ხართ ბელადისა-ჩვენი ხალხის მომავალი.
დაახვედრეთ ჩვენს მებრძოლებს სიმამაცე, შრომა, გარჯა,
გაიმარჯვებთ, როგორც მტერზე ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა.

3066 ბიბლიოგრაფია

სსსრ II სერიისი

საქართველო
ბიბლიოგრაფია

1. ასეთი მხოლოდ ორია: ბრომი (მძიმე, მწვევე, მურაწითელი, მახრჩობელა სუნის სითხე) და ვერცხლისწყალი (მეტალი). ყველა დანარჩენი ელემენტი ჩვეულებრივ ბიბლიოგრაფიაში ან გაზის ან მყარი მარტივი ნივთიერების სახით არის.

ვერცხლისწყალი მეტალია, მაგრამ იგი წყალივით მოძრაობს. თავისი ამ განსაკუთრებული თვისების გამო მას აგრეთვე „ცოცხალ ვერცხლს“ უწოდებენ. ვერცხლისწყალი გამდნარ მეტალს გაეს, მაგრამ იგი ცივია.

2. სამი ხალათი უფრო თბილია. ხალათის სისქეს კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ იმას, თუ ჰაერის რაოდენ სქელი ფენა ჩვენი სხეულის ირგვლივ დაგროვებული ტანსაცმლით. ჰაერი სითბოს ცუდი გამტარია. სამი ხალათი სითბოს ამ ცუდ გამტარს,—ჰაერს, რასაკვირველია, მეტს იჭერს. სამი ხალათი—ეს სამი ჰაერის ტანსაცმელია, ერთი კი, თუნდაც სქელი, მხოლოდ ერთი ჰაერის ტანსაცმელია.

3. სირაქლემა.

4. პიზენიცი.

5. გოლიათური კუ.

6. 71 დღე (18 მარტიდან 25 მაისამდე).

7. 1629 წელს ჭალაქ რომში (იტალია).

8. ინდოლეგმა (არაბებმა მხოლოდ გაავრცელეს სხვადასხვა ქვეყნებში).

9. იმიტომ რომ მოსკოვი მეორე სასაათო ზონაშია, თბილისი—მესამეში.

10. ანთებული სანთელი რომ წყალში ჩაეშვება, ჩაქრება. რატომ? იმიტომ რომ სანთლის წვისათვის საჭიროა აქვრივ და არა წყალი. წყალი ჰაერს გზას უშვობს ცეცხლმოდებულ საგნისაკენ.

ცეცხლის ჩაქრობა სხვა საშუალებითაც შეიძლება: ცეცხლმოდებულ საგანს საბანი, ფარდაგი ან ხალიჩა უნდა გადაეფაროს ანდა სილა დაეყაროს. ფარდაგი, სილა არ მიუშვებს ჰაერს ცეცხლთან და იგი ჩაქრება.

11. შვიდი (I—1, V=5, X=10, L=50, C=100 D=500, M=1000). ამ შვიდი ციფრით ადგენდნენ რომელები რიცხვებს.

12. ერთ კილოგრამს.

13. დაახლოებით 35.

14. მისისიპი-მისურა (6.530 კლმ.) ჩრდილოეთ ამერიკაში.

15. თოხი—ატლანტის, წყნარი (დიდი), ინდოეთის და ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე.

16. იმიტომ რომ სინათლის სიჩქარე გაცილებით მეტია ბგერის სიჩქარეზე.

17. ქვეყნის ნაწილები: ეგვიპტე, აზია, აფრიკა, ამერიკა, ავსტრალია და ანტარქტიდა.

18. ქვეყნის მხარეები: ჩრდილოეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი და დასავლეთი.

19. ჯეკ ლონდონი.

20. ჯონატან სვიფტი.

შინაარსი

ამხანაგ იოსებ ბეხარიონის ძე სტალინის პორტრეტი	1 გვ
ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი	2 "
გორგი კაპახიძე—გვიბრუნდებიან მამები (ლექსი)	გარეკანის მე-2 "
აკადემიკოსი ე. ტარლე—მ. ი. კუტუზოვი (სტატი)	4 "
იოსებ გრიშაშვილი—სკოლის ზარის წყრილობა (ლექსი)	6 "
მურმან ლებანიძე—წერილი გეოგრაფიის მასწავლებელს (ლექსი)	6 "
მარიკა მიქელაძე—თეთრი სახლი (საბავშვო პოემა)	7 "
ლეონარდო და-ვინჩი—სამართლებელი (იგავი)	11 "
დავით შამათავა—უბუკი ალგეტიდან (მოთხრობა)	12 "

გარეკანზე მხატვარ შ. დაუშვილის ნახატი „სკოლისაკენ“

ელენე ავლაძე—პიონერული აქტივის დასასმარებლად	16 "
ნინო დავითაშვილი—მეტრის ხეობა თბილისში (შეისწავლე შენი სამშობლო. მხარე)	21 "
ნიკოლოზ კანდელაკი—იოანე მარტოშისძე (საქართველოს ისტორიის „პაწია ხანების“)	25 "
ა. ფურცხვაძე—„მოწყვეტილი ვარსკვლავი“ ანუ მეტეორი (საუბარი ასტრონომიულ საყიბებზე)	27 "
შ. გვინიძე—მიოლოგიის ლექსიკონი	29 "
ბრძოლის გმირებს, სწავლის გმირებს—მუსიკა თამარ შვერვაშვილისა	31 "
ვინ გაიმარჯვებს (პასუხი მე-2 სერიაზე)	32 "
გასართობი	გარეკანის მე-1 "

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, თ. გელიაშვილი (პ/მგ. რედაქტორი), შ. გვინიძე, ვ. ვარდაშვილი, პროფესორი გ. თავაშვილი, ს. კეცხოველი, პ. მეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

12345679 × 9

ერთხელ საღამოს ლანა ძალიან მზიარული მოვიდა ჩემთან. ხელში პატარა ქალაღი ეჭირა და მასზე ეწერა რიცხვი: 12345679.

— შესანიშნავი რიცხვია, — სთქვა მან, — და სამახორებლადაც ძალიან ადვილია — მისი შეპატვებელი ყველა ციფრი თანმიმდევრობითია, მიოლოდ ციფრი 8 ამოვადღე, ხელს მიშლიდა.

— რითაა შესანიშნავი ეგ ზენი რიცხვი, — ვითხე ლანას.

— აი რით. ამ რიცხვში რომელი ციფრიც გინდა ამოირჩიე: მე მას ცხრაზე გავამრავლებ, შემდეგ ჩემს რიცხვზე გავამრავლებ და ნამრავლში მივიღებთ ფრიად უცნაურ რიცხვს.

მე ამოვარჩიე 5. ლანამ იგი გაამრავლა 9-ზე, მიიღო 45. შემდეგ 45-ზე გაამრავლა თავისი რიცხვი

$$\begin{array}{r} 12345679 \\ \times 45 \\ \hline 61728395 \\ 49592716 \\ \hline \end{array}$$

და მიიღო: 55555555

მართლაც და, ნამრავლი ფრიად უცნაური რიცხვია, იგი ცხრანიშნავია და სულ ხუთიანებისაგან შედგება.

შემდეგ ლანას რიცხვი 12345679 გავამრავლეთ 9 ჯერ 9-ზე, ესე იგი 81-ზე.

$$\begin{array}{r} 12345679 \\ \times 81 \\ \hline 12345679 \\ 98765432 \\ \hline 99999999 \\ 99999999 \\ \hline \end{array}$$

მივიღეთ ნამრავლი, რომელიც ისევ ცხრანიშნავია, მაგრამ ახლა სულ ცხრანიშნავიანებისაგან შედგება.

ამრიგად, თქვენც შეკვილიათ, ყმაწვილებო, ლანას რიცხვი 12345679 გაამრავლოთ ცხრასა და ცხრის ჯერადებზე და ნამრავლში ყოველთვის გააბოცარ ცხრანიშნავი რიცხვებს მიიღებთ: თუ ერთ 9-ზე გაამრავლებთ, ნამრავლში სულ ერთიანებისაგან შემდგარ ცხრანიშნავი რიცხვს მიიღებთ, თუ ორჯერ 9-ზე, ესე იგი 18-ზე გაამრავლებთ, ნამრავლში სულ ორიანებისაგან შემდგარ ცხრანიშნავი რიცხვს მიიღებთ და ა. შ.

15	2	17	6	13	4
18	23	14	3	30	7
1	16	31	12	5	28
22	19	24	29	8	11
25	32	21	10	27	34
20		26	33		9

ქადრაქის თამაშისას, როგორც იცით, ყმაწვილებო, სხვადასხვა სელას მიმართავენ ზოლში. ერთ-ერთ სელას ცხენის სელა ეწოდება. აი ამ სელით წაიკითხეთ და დასწერეთ უჯრედებში ამხანაგ სტალინის მიერ ბავშვობის დროს დაწერილი ლექსის ერთი ტაეპი.

შეადგინა როზა თავდილიშვილმა

პასუხი ჟურნ. „პიონერში“ მოთავსებულ
გასართობ ამოცანებზე
რამაშინი (№ 5).

მადლობა დიდ სტალინს სამშობლოს თავისუფლების შენარჩუნებისათვის.

ბამოცანები (№ 2-3)

1. ჰაერი, 2. ბუროთი. 3. ქანგი.

ბამოცანები (№ 4)

ციკარი, სიმინდის ტარო.

17 აქლიმი სამ მასს (№ 5)

17 უნაშთოდ მართლა არ გაიყვანა 2, 3 და 9-ზე. მოხუცმა არაბმა ათხოვა ვაჟებს თავისი აქლიმი. 18 აქლიმი ვაჟებმა თავისუფლად გაინაწილეს: უფროსს ერგო 9 აქლიმი, საშუალოს — 6 და უმცროსს — 2, რაც 17-ს შეადგენს. მოხუცმა თავისი აქლიმი უკან დაიბრუნა, აღარ გჭირდებათო, და განაგრძო გზა.

ალგებრულად ეს ამოცანა შემდეგი განტოლებით ამოიხსნება:

$$\frac{x}{2} + \frac{x}{3} + \frac{x}{9} = 17, \text{ სადაც } \frac{x}{2}, \frac{x}{3} \text{ და } \frac{x}{9} \text{ არის უფროსი, საშუალოს და უმცროსი ვაჟის თვისება აქლიმების რიცხვები. აქედან გვაქვს: } 9x + 6x + 2x = 306, 17x = 306, x = 18.$$

მასხადამა უფროს ვაჟს ერგო $\frac{x}{2} = \frac{18}{2} = 9$, საშუალოს —

$$\frac{x}{3} = \frac{18}{3} = 6 \text{ და უმცროსს — } \frac{x}{9} = \frac{18}{9} = 2.$$

1/193

4990-
193



სკოლისკანი

ფოტო ვ. რუხეცკისა

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 28. ტელ. 3-81-85.

შუკ-09189. ტირაჟი 7000. გამოშვ. № 66 სტამბის შუკვ. № 1324
დ. პ. ბერაზს სახელობის აკოპოინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28,
ქუჩის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ კვების მრეწველ. სახ. კომისარიატის ლითოგრაფიაში.